საერთო გაზეთი

№44 (455) • 6 დეკემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

უკრაინული კლოუნადა

მიშა „კრიშაზე“, პარაშენკო – „პარაშასთან“

ვინ აპირებს იდეოლოგიური ბომბის აფეთქებას ქართულ ეკლესიაში?

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოაწყობს ტერაქტს – ფანატიკოსი, ჯინსებსა და კედებში, თუ ღვთის სახლში შეპარული ანაფორაგადაცმული ფარისეველი

აქა ამბავი შესახებ იმისა, თუ როგორ იჯიბავდნენ მილიარდებს „უპოვარი“ მიშა, „გაღლეტილი“ ვანო და სხვა „უდანაშაულო“ ნაცები

მაფიად ჩამოყალიბებულ განათლების სისტემას მინისტრების შეცვლა რას უშველის, როცა მთავარი მაფიოზები ადგილებზე რჩებიან...

ტრაგედია ხორავას ქუჩაზე

უსამშობლოდ დარჩენილი ბავშვების ტრაგედია

დიდი თურქეთი და დიდ თურქეთზე დიდი პატარა საქართველო

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

აქა ამბავი შესახებ იმისა, თუ როგორ იჯიბავდნენ მილიარდებს „უპოვარი“ მიშა, „გაღლეტილი“ ვანო და სხვა „უდანაშაულო“ ნაცები

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებამ, მერაბიშვილის მიმართ ევროკონვენციის რომელიღაც მუხლი დაირღვაო, ნაციონალები და მათი სატელიტები ფრიად გაამხიარულა. მერე რა, რომ ეს დარღვევა, მხოლოდ ერთ ეპიზოდს, მერაბიშვილის ციხიდან თავზე „ტომარაგადაფარებულ“ გაყვანას ეხება, თუმცა ისიც საკითხავია, მართლა თუ გაიყვანეს, თანაც ამ ფორმით. ვანიჩკას „პოლიტპატიმრად“ გამოცხადებას, „ოპერატიულად“ გამოეხმაურა სააკაშვილიც, დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ვანო მერაბიშვილი, მივესალმები სტრასბურგის გადაწყვეტილებას, ჩემი თანამებრძოლის პატიმრობის უკანოდ გამოცხადებასთან დაკავშირებითო. მმართველი ძალის განცხადებით, ევროსასამართლოს მერაბიშვილი პოლიტპატიმრად არ უცვნია, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ცალსახადაა ნათქვამი, რომ მერაბიშვილის დაკავება და მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება სრულიად კანონიერი იყო, საერთოდ არ მოიცავდა მის პოლიტიკურ საქმიანობიდან ჩამოშორების მოტივაციას. ეტყობა, ნაციონალებისა და მათი ლიდერისთვის ცალკე გადაწყვეტილება გამოსცეს, სააკაშვილს ისიც გაურკვევია, რომ მისი უახლოესი თანამებრძოლის, ქვეყნის „ექსხერხემლის“ მრავალწლიანი პატიმრობის მთავარი მიზანი, მისგან სააკაშვილის საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიღება იყო. ოლიგარქ ივანიშვილს არ შეეძლო დაეჯერებინა, რომ არაფერი მომიპარავს. ამის გამო, უდანაშაულო ადამიანს ამდენი ხანია აწამებენო.

ივანიშვილის „უნდობლობისა“ რა უკვირს მიხეილ-ბატონს, როცა უკრაინელ ჟურნალისტსაც გაუჩნდა მის მიმართ კითხვა, პარტია გაქვთ (თანაც ორი, თუ მეტი არა – მ.ს.), ძვირადღირებულ სასტუმროში ცხოვრობთ, მუდმივად მოგზაურობთ, ამას როგორ ახერხებთო. კი „დაამშვიდა“ მიშამ „კოლეგა“, რა არის აქ გასაკვირი, ძალიან მოკრძალებულად ვცხოვრობ, ბებია მუშაობს (ცხონებული მზია ბებია მაშინ ცოცხალი იყო), დედა მუშაობს, ცოლი მუშაობს და ფულს მიგზავნიან, მეც ერთ-ერთ ტელევიზიაში ვმუშაობდიო, მაგრამ დაუჯერა თუ არა ყოფილმა „კოლეგამ“, ვერაფერს მოგახსენებთ. სამაგიეროდ, ის ვიცით, რომ ქართველებს (თუ არ ჩავთვლით ნაციონალებსა და მათ მხარდამჭერებს) ნამდვილად არ სჯერათ სააკაშვილის არგუმენტის. მათ არც ვანო მერაბიშვილის უდანაშაულობა და პოლიტპატიმრობა სჯერათ და აქედან გამომდინარე, მის უვადო პატიმრობას თუ არა, მრავალწლიან სასჯელს მაინც ითხოვენ. მერაბიშვილი ოთხი ბრალდებითაა მსჯავრდებული: „აკურას“ ღვინის ქარხნის ჩამორთმევა – 2 წელი და 3 თვე; სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების საქმეზე მტკიცებულებების გადამალვა – 3 წელი; 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევა – ოთხწელიწადნახევარი; ვალერი გელაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება – 6 წელი და 9 თვე. მას საბოლოო ჯამში, ამ უკანასკნელი სასჯელის ვადა შეეფარდა, რადგან ნაციონალებისგან „ქვეყნის დამაქცევრად“ გამოცხადებულმა „ქართულმა ოცნებამ“, ნაციონალების დაკანონებული სასჯელის შეკრებითობის წესი გააუქმა და უდიდესი სასჯელი შთანთქავს უმცირესს. ეს ბრალდებები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც საზოგადოება მერაბიშვილს ედავება, რომელიც მეხსიერების დაქვეითებას არ უჩივის, ახსოვთ ვანოს მოთხოვნილი ორი „ტრუპი“, ნავთლუღში, კორტებთან თუ სხვაგან ჩაცხრილული უდანაშაულო ახალგაზრდები, 7 ნოემბრის აქციის და ტელეიმედის დარბევა, ბადრი პატარკაციშვილისა თუ სხვა ბიზნესმენებისთვის ქონების „ახევა“ და ა.შ. კი გვიმტკიცებს სააკაშვილი, „ანგელოზები“ ვართ მე და ჩემი უახლოესი თანამებრძოლი, „გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე“ მერაბიშვილიო, მაგრამ რა ვუყოთ იმ ათასობით საჩივარს, რომელიც მთავარ პროკურატურაში დევს სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით?! არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს განვითარების ლაბორატორიის“ დირექტორი, ექსპარლამენტარი ირაკლი გოგავა „საერთო გაზეთისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ სააკაშვილმა სამართალდამცავი სტრუქტურები სადამსჯელო ორგანიზაციებად აქცია, მიზანი ერთი იყო – კორუფციით, შავი ბიზნესითა თუ კანონიერად ნაშოვნი ფული ამოღებულიყო მოსახლეობისგან. საქართველოსთვის ასტრონომიული თანხებია, რაც მათ ამოიღეს, თანაც ეს ნახევრად ოფიციალურად ხდებოდა, საპროცესო გარიგებების მეშვეობითო. ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2011 წლის ჩათვლით, 900-ათასამდე სს-ის საქმე იყო აღძრული, საიდანაც მხოლოდ 1%-ზე თუ დადგა გამამართლებელი განაჩენი, დანარჩენების უმეტესობა საპროცესო გარიგებით დასრულდა. გარიგებისთვის საჭირო თანხა 5.000 ლარზე ნაკლები არ ყოფილა, ესეც წვრილმანი დანაშაულის შემთხვევაში, თორემ დანარჩენ შემთხვევებში მილიონებს უტოლდება. ჯამში 16-დან 19 მილიარდამდე ლარი ყოფილა ამოღებული. ირაკლი გოგავას განცხადებით, ეს ფული ნაციონალების მიერ შექმნილ 3–4 ე.წ. საქველმოქმედო ორგანიზაციაში წავიდა, ერთ-ერთი სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი ყოფილა. არცერთი ეს ორგანიზაცია აღარ არსებობს, დაშლილია, მათი მთელი დოკუმენტაცია კი უკვალოდაა გამქრალი. ბიზნესმენებს დაწესებული ჰქონდათ „სტავკები“, რამდენი უნდა გადაერიცხათ ამ ფონდებში და რამდენი ოფშორულ ანგარიშებზე. იმიტომაც ვერ ვითარდება ჩვენი ეკონომიკა, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა პირწმინდად გაძარცვეს ხალხი. ნაციონალებმა კორუფცია კი არ მოსპეს, მისი ერთ ხელში კონსოლიდაცია მოხდაო. ბიზნესმენებთან ერთად, ყველა მსხვილი იმპორტიორიც „გასტავკული“ ყოფილა, „ხარკი“ 10–20%-ის ფარგლებში მერყეობდა, „სტავკაც“ ალბათ იმის მიხედვით დგინდებოდა, ვის რა „დამსახურება“ ჰქონდა „მეფის კარზე“. ირაკლი გოგავას ნაცნობი უკრაინელი ბიზნესმენი, რომელსაც ხორბლის შემოტანა უნდოდა, ნაცელიტას ერთ-ერთ მინისტრთან

გადაუმისამართებია, ამ უკანასკნელმა „ატკატის“ სახით 20% მოითხოვა, არადა ხორბლის მარჟა 7–8, მაქსიმუმ 10%-ია. ცხადია, ეს გარიგება ვერ შედგა, მაგრამ იყო ხალხი, ვინც მოთხოვნებს თანხმდებოდა, ციხეში გამოკეტვისა და ქონების „ექსპროპრიაციის“ შიშით. „საერთო გაზეთი“ თავის დროზე წერდა იმ ბიზნესმენების შესახებ, რომლებსაც ბიზნესის „ახევა“ არ აკმარეს და გისოსებს მიღმა გამოამწყვდიეს. ერთ-ერთი მათგანი იყო ბენზინგასამართი სადგურების ქსელის მეპატრონე ჯემალ ლეონიძეა. მისთვის წართმეული ობიექტები, შემდეგ დავით კეზერაშვილის კომპანია „გალფის“ სახელით მოევლინენ საწვავის ბაზარს.

სწორედ, ამგვარი „სპეცოპერაციების“ შედეგად იქცნენ ნაცხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსული პერსონები მილიარდერებად. მიწისა და სხვა უძრავი ქონების „ერთგულ“ ხალხზე ერთ ლარად გასხვისება, სააკაშვილის ჩვეული მეთოდი იყო. ხელისუფლებაში მოსვლიდან მოკლე ხანში გამდიდრებულებმა, დიღმის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე მიკროქალაქი შექმნეს, მთავარი გამზირით, სიხარულის ქუჩა. ამ ქუჩაზეა წამოჭიმული სააკაშვილის ოჯახისა და მისი უახლოესი „თანამებრძოლების“ ფეშენებელური ვილები. საწვავის ბიზნესი და საგანმანათლებლო სფერო ხომ მთლიანად სააკაშვილის ოჯახისა და მისი უახლოესი გარემოცვის ხელში იყო და დღესაც იგივე გრძელდება. როგორ „უფეშქაშა“ გაგანია ომის დროს სააკაშვილმა საკუთარ დედას ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები, ამის შესახებ არაერთხელ დაწერილა პრესაში, მათ შორის, ჩვენს გაზეთშიც. სააკაშვილი, რომლის ქონების ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანს, დღეს ირწმუნება უპოვარი ვარ, მხოლოდ ოჯახის წევრების ხელფასით ვარსებობო.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის, დავით გაგნიძის განცხადებით, საქართველოდან მთლიანობაში 25 მილიარდი ლარია გატანილი და ვინ იცის, რომელ ოფშორულ ზონაში „დავანებული. „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, აქედან 18 მილიარდი სააკაშვილის „ყულაბაშია“. აი, ამაზე რომ არ მოსთხოვა მას პასუხი „ქართულმა ოცნებამ“, იმიტომაც ბედავს სააკაშვილი აქეთ წაუყენოს ბრალდებები მმართველ ძალას და მერაბიშვილი პოლიტპატიმრად გამოაცხადოს, რომელიც სააკაშვილზე ნაკლებ ქონებას არ ფლობს. „გაღლეტილი“ ვანოს მატერიალური აღზევება, ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროიდან დაიწყო, როცა ერთ-ერთი „ენჯეოს“ ხელმძღვანელი გახდა, რომელსაც მემამულეთა თუ მიწისმფლობელთა ასოციაცია ერქვა. საქმეში ჩახედული ხალხის განცხადებით, სწორედ იმ პერიოდიდან იწყება ქართული მიწების განიავება. დღეს აღარც ეს ორგანიზაცია არსებობს, სამაგიეროდ, დაგვრჩა მულტიქონების მფლობელი მერაბიშვილი, რომელიც მიზერული სასჯელით გაამწესეს „მატროსოვის“ კომფორტულ ციხეში და მომავალი წლის მარტში ეწურება სასჯელის ვადა, თუმცა შეიძლება უფრო ადრეც, საახალწლოდ ვიხილოთ „თავისუფლებაზე“. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი არ გამორიცხავს, მერაბიშვილს ახალი ბრალი წაუყენონ, უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილიო, თუმცა საკითხავია, რამდენად გამართლდება ეს პროგნოზი. „ნაცბობოლებთან“, მათ შორის, მერაბიშვილთან დაკავშირებითაც, ხალხი მწარედ ხუმრობს, ჩვენც გვაშოვნინონ მილიონები და ასეთი სასაცილო სასჯელით, სიამოვნებით ჩავჯდებით ციხეში, მით უმეტეს, რომ დღევანდელი სასჯელაღსრულების სისტემა, სააკაშვილის ციხესთან შედარებით, სამოთხეაო. რა ქონებას ფლობს მერაბიშვილი, დაზუსტებით შეიძლება თვითონაც არ იცის, მაგრამ ექსგუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის ბიზნესქონების რეალური მფლობელი რომ „გაღლეტილი“ ვანოა, ეს არაერთხელ უთქვამთ კარგად ინფორმირებულ წყაროებს. ხე-ტყის ბიზნესსაც, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში, ვანო აკონტროლებდა და დღესაც აქვს ამ სფეროდან შემოსავალიო. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სისტემაში არსებული ერთ-ერთი სახელმწიფო კომპანია, თავის დროზე მერაბიშვილმა ჩამოაყალიბა, რომელსაც დღემდე რეალურად ის მართავს და „წილსაც“ იღებს. ნაციონალების მმართველობისას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (აქ არ იგულისხმება ნაცვლიშვილ-გიგაურისა და სხვა „ელიტარების“ ორგანიზაციები), არაერთხელ მოაწყეს საპროტესტო აქციები დიღმის ფეშენებელურ კვარტალსა თუ თბილისის ზღვაზე, მათი განცხადებით, თბილისის ზღვის მიმდებარედ მშენებარე უზარმაზარი ვილა მერაბიშვილის საკუთრება იყო. ამ აქციების გამო, პროტესტანტებს არაერთხელ მოუწიათ თბილისის პოლიციის სამმართველოსა თუ სხვა ქალაქების „კაპეზეებში“ ყურყუტი და ცემა-წამების ატანა. დღეს კი, თურმე სააკაშვილის „არარსებული“ ანგარიშების „არგათქმის“ გამო „ეწამება“ მერაბიშვილი.

ისე, საბანკო ანგარიშების „არმქონე“ სააკაშვილთან ერთად, მოქმედ ხელისუფლებასაც გვინდა დავუსვათ კითხვა, რატომ გაყიდა პრეზიდენტყოფილმა ნახევარ მილიარდ დოლარად შეფასებული სახელმწიფო ქონება, ფოთის პორტი, 130 მილიონად, რომლის თითქმის ნახევარიც თურმე დღეს არ ფუნქციონირებს. ვითომ ასეთი გულუბრყვილო იყო სააკაშვილი რომ მეოთხედ ფასად გაესხვისებინა ეს ობიექტი, თუ იქ რაიმე ინტერესი არ ჰქონდა? კოსტუმებსა და აბანოს ხარჯებს რომ ედავებოდა მთავარი პროკურატურა სააკაშვილს და თავი ნაცების საქილიკო გაიხადეს, სტრატეგიული ობიექტების „უპრაგონო“ გაყიდვაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ეს თემა? საქართველოს რკინიგზის „ჩაძირვაზე“ რომ მოსთქვამენ ნაციონალები და მათი სატელიტები, სწორედ, მათი მმართველობისას დაიწყო ამ უწყების ქონების განიავება, მათ არ დანიშნეს იქ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ბატონი ეზუგბაია, რომლის ანაზღაურებაც ასტრონომიულ ციფრებს უტოლდებოდა? ძალით თავსმოხვეული კაბიტაციის წყალობით, სააკაშვილს მხოლოდ ოთხ ეპიზოდში აქვს ბრალი წაყენებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე დაკავებულ პირთა შეწყალების საქმე); 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივი დარბევის, ტელეკომედიში შეჭრის, ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდება; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობითა და იარაღის გამოყენებით (ვალერი გელაშვილზე თავდასხმის საქმე); წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით (8.837.461 ლარი) საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა (სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ხარჯების საქმე).

სააკაშვილი ამბობდა: პოროშენკომ შემომთავაზა, ან ჰოლანდიაში წადი, ან პოლონეთში ანდა საქართველოში, მაგრამ ევროპაში არ წავალო, თან ბიძინას ემუქრებოდა, საქართველოში ჩამოვალ და ივანიშვილს დავამხობო, მაგრამ გუშინდელი მოვლენების შემდეგ, ვეჭვობ, რომ დანაქადნის შესრულება შეძლოს...

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

უკრაინული კლოუნადა, ანუ მიშა „კრიშაზე“, პარაშენკო „პარაშასთან“

5 დეკემბერს დატრიალებული სამარცხვინო ამბებით პარაშენკომ კიდევ ერთხელ მოიჭრა თავი.

პარაშენკოს ადგილი ამიერიდან „პარაშასთანაა“, მიშა კი კვლავ „კრიშაზე“ რჩება და იქ დარჩება, სანამ თვითონ არ გადმოხტება იქიდან.

5 დეკემბერს კინაღამ გადმოხტა...

მის მხარდამჭერებს რომ არ გაეკავებინათ, გადმოხტებოდა.

გადმოხტომით კი გადმოხტებოდა, მაგრამ დაშავებით არაფერი დაუშავდებოდა — მიშას ხომ ფრთები აქვს!

მიშას ფრთები აქვს, პარაშენკოს — არა!

მიშა პოლიტიკური ფრინველია, პარაშენკო ფულით გატენილი ტომარა.

ფულით გატენილი ტომარა მიშაც არის, მაგრამ ტომარა-მიშას ფრთები აქვს, ტომარა-პარაშენკოს — არა!

მიშა მსოფლიოს მოქალაქეა, რომელსაც არც პასპორტი სჭირდება და არც სხვა რამ დოკუმენტი, ისე გადაალაჯებს ნებისმიერი სახელმწიფოს საზღვარს, ბუზს ვერავინ აუფრენს.

მიშა მსოფლიოს მოქალაქეა, პარაშენკო — მხოლოდ უკრაინის.

მიშა მსოფლიო ბანდის წევრია, პარაშენკო მხოლოდ უკრაინული ბანდიუკის ატამანი.

კრამიტდაცურებულ მიშას ისეთი ვიღაცები „კრიშავენ“, პარაშენკოს ხურდის დამთვლელადაც რომ არ აიყვანენ.

პარაშენკოს ყვავებს არწივი მიშა მანქანაში რომ ჰყავდათ დამწყვდეული, მიშას უთქვამს: ფისი მინდა და გადამიშვით ერთი წუთი მანქანიდანო.

— გადაგიშვათ, არა ისა... გაუშვი შარვალში, ჩაფსმული არ ჩამოგიყვანეთ „კრიშიდან“, რა მნიშვნელობა აქვს, ერთხელ ჩაიფსამ თუ ორჯერო?

მიშა არ არის ქვეშაფსია — მიშამ მთელს მსოფლიოს გადააფსა თავზე და თუ მოეხოშება, გადაა...მს კიდევაც და პასუხსაც ვერავინ მოსთხოვს.

მიშა მაგარია.

მიშას ვერავინ ჩასვამს ციხეში, რადგან მსოფლიოს 7 წამყვანი ფსიქიატრის დასკვნა უდევს ჯიბეში, რომ გიჟია.

სხვათა შორის, ისეთი ამბები ჩაუტარებია მანქანაში, შეშინებულ სპეცნაზელებს პარაშენკოსთვის დაურეკავთ — ბატკა, ეს ისეთ რაღაცებს აკეთებს აქ, გადაგვიყვანა ჭკუიდან — სავარძლის ტყავები კბილებით დაფლითა და დაღრღნა, ტანსაცმელი შემოგვაჭამა და შემოგვახია, ამის ჩასმა ციხეში როგორ შეიძლება — ნამდვილი გიჟიაო.

— თუ გიჟია, გაუშვით. როგორც ქართველი ხალხი ბრძანებს, „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო“, — უპასუხია ბატკას.

გაუშვეს...

გაუშვეს, რომ მალევე დაიჭირონ, ოღონდ ციხეში კი არ ჩასვამენ, სავარაუდოდ, მეგი გოცირიძეს გადასცემენ მოსათვინიერებლად.

გიორგი გამეზარდაშვილი

ვინ აპირებს იდეოლოგიური ბომბის აფეთქებას ქართულ ეკლესიაში, რომელსაც შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა შეეწიროს

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოაწყობს ტერაქტს — ფანატიკოსი, ჯინსებსა და კედებში, თუ ღვთის სახლში შეპარული ანაფორაგადაცმული ფარისეველი

ვახტანგ ხარჩილავა:

ის, რაც ქართულ ეკლესიაში ბოლო ხანებში ხდება, შეიძლება გაცილებით ტრაგიკული აღმოჩნდეს საქართველოსთვის, ვიდრე 22 ნოემბრის ტერაქტი იყო.

ესეც ტერაქტია, ოღონდ სხვა ტიპის და სხვა ხასიათის ტერაქტი, სადაც, მართალია, არც ავტომატებს ისვრიან და არც ხელყუმბარებს, სამაგიეროდ, ისეთი იდეოლოგიური ბომბის აფეთქებას აპირებენ ვიღაც-ვიღაცები, რომელმაც შეიძლება ეს ქვეყანა ორად გახლიჩოს.

განსაკუთრებით საგანგაშო და თავზარდამცემია ის გარემოება, რომ ამ ტერორისტული აქტის განმხორციებლები შეიძლება ის ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებსაც ანაფორები აცვიათ, ჯვრები და პანაღიები ჰკიდიათ, თავზე მიტრა ახურავთ და რომელთა მთავარი მისია საზოგადოების გახლეჩა კი არა, საზოგადოების გაერთიანებაა იმ დიდი სიკეთისა და სინათლის გარშემო, რომელსაც ჰქვია სიყვარული და რომელიც არის ღმერთი.

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოაწყობს ტერაქტს — ფანატიკოსი, ჯინსებსა და კედებში, თუ ღვთის სახლში შეპარული ანაფორაგადაცმული ფარისეველი, რომელიც საკუთარი კეთილდღეობის, ბნელი გზებით ნაშოვნი სიმდიდრისა და ოქრო-ვერცხლის შესანარჩუნებლად მზად არის, მთელი ქვეყანა გაწიროს.

●

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ მოსაყდრედ მეუფე შიო დაასახელა.

უპრეცედენტო, ჭეშმარიტად ბრძნული და შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება — ასე შეფასდა უწმიდესისა და უნეტარესის ეს ნაბიჯი.

ამ გადაწყვეტილ; ებით, ფაქტობრივად, გზა მოეჭრა ყველა იმ შესაძლებელ საფრთხეს, რაც შეიძლებოდა მომავალი კათოლიკოსის არჩევის პროცესს მოჰყოლოდა.

სამწუხაროდ, საქართველოს მწარე ისტორიული გამოცდილება აქვს ამ მხრივ.

ახალი პატრიარქის არჩევასთან დაკავშირებული მრავალი დრამატული ფაქტი დღემდე რჩება სხვადასხვა ვერსიების, ბრალდებების, მითქმა-მოთქმის საგნად, რაც სრულებითაც არ უწყობს ხელს ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებას და განმტკიცებას.

ილია II-მ მოსაყდრის თავის სიცოცხლეშივე დასახელებით, რაც განმტკიცებული და დადასტურებულია მის მიერ შედგენილი სათანადო ტექსტით და ხელმოწერით, ფაქტობრივად, აღკვეთა ის სპეკულაციები, გნებავთ, შიდა დაპირისპირებების საფრთხე, რასაც, ადვილი შესაძლებელია, მომავალში ადგილი ჰქონოდა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რის შესახებაც ნაკლებად ვლაპარაკობთ, თუმცა ეს ამბავი ნამდვილად არის ყურადღების და აღნიშვნის ღირსი.

საქართველოს პატრიარქს, უჭკვიანეს ადამიანს, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით სავსეს, არ შეიძლება არ სცოდნოდა და წინასწარ არ გაეთვალა, რომ მოსაყდრის დასახელებით იმედგაცრუებული სხვადასხვა ჯგუფების რისხვა, რომლებსაც თავისი ფავორიტები ჰყავდათ და ჰყავთ მომავალი პატრიარქის თანამდებობაზე, სწორედ მას დაატყდებოდა თავს.

მან სრულიად შეგნებულად და გააზრებულად თავის თავზე მიიღო ეს დარტყმა, რითაც ფარად აეფარა და შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქა მდგომარეობა არა მარტოო მეუფე შიოს, არამედ მთლიანად ეკლესიას.

ამის გაკეთებას დიდი სულიერი სიმტკიცე, თავგანწირვისთვის მზადყოფნა და, რაც მთავარია, უდიდესი სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა სჭირდება.

მეუფე შიოს (ერისკაცობაში ელიზბარ მუჯირი) ახასიათებენ, როგორც უაღრესად განათლებულ და ერუდირებულ ადამიანს, თავმდაბალ, უწესიერეს პიროვნებას, რომელიც მუდამ მზად არის, მოყვასს სიკეთის ხელი გაუწოდოს.

მეუფე შიო, ამასთან ერთად, დაჯილდოებულია შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭით, რაც მან არაერთხელ გამოავლინა თავისი საეკლესიო მოღვაწეობის განმავლობაში.

ის, როგორც ყოველმხრივ შემკული პიროვნება, გულწრფელი სიყვარულით უყვარს მის მრევლს, მის ნაცნობ-მეგობრებს, სასულიერო თუ საერო პირებს.

არის უკონფლიქტო, გაწონასწორებული ხასიათის ადამიანი, რომელსაც არასოდეს მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის დაპირისპირებასა თუ ინტრიგებში, რომლებიც, სამწუხაროდ, ეკლესიის წიაღშიც არცთუ იშვიათად გვხვდება.

აი, ასეთი გამორჩეული და ნამდვილად ღირსეული კანდიდატი შეარჩია პატრიარქმა თავის მოსაყდრედ, რომლის წინააღმდეგი, წესით და რიგით, არავინ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინოდის წევრებში გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც მკვეთრად აგრესიული და უარყოფითი შეფასებები გააკეთეს პატრიარქის ამ გადაწყვეტილების მიმართ.

მართალია, პიროვნული ზადი და ხინჯი ვერ მოუძებნეს მეუფე შიოს, მაგრამ „ნაკლად“ ის ჩაუთვალეს, რომ მას თურმე განათლება რუსეთში აქვს მიღებული.

სწორედ ამ „ნაკლზე“ აიგო ის შავი პიარი, რომელიც მეუფე შიოს წინააღმდეგ ააგორეს ე.წ. დასავლური ორიენტაციის მედიასაშუალებებმა, რომელთა საქმიანობასაც სხვას ვერაფერს დაარქმევ, თუ არა ანტიქართულს, ანტიეროვნულს, ანტისახელმწიფოებრივს.

ამ შავ პიარს სინქრონულად აუწყო ხმა ზოგიერთმა სასულიერო პირმაც, რომლებიც პატრიარქის გადაწყვეტილებას არალეგიტიმურს, უკანონოს უწოდებდნენ, თუმცა იმის ახსნა-განმარტებით, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ამ გადაწყვეტილების არალეგიტიმურობა და არაკანონიერება, თავი არავის შეუწუხებია.

ზოგიერთები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და იმის თქმასაც არ მოერიდნენ, რომ პატრიარქს ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, საკუთარი ნებით არ მიუღია და ამის გაკეთება მას რუსებმა აიძულეს.

მთელი ამ პარანოიკული ბოდვის მთავარ არგუმენტად ის იგულისხმებოდა, რომ მეუფე შიოს სასულიერო განათლება რუსეთში აქვს მიღებული და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსკოვში, ქართულ ეკლესიაში მოღვაწეობდა, რომლის განახლება-რესტავრაციას, რუსეთში მოღვაწე სხვა ქართველების დახმარებით და მათთან ერთად, ფასდაუდებელი ამაგი დასდო.

გვინდა ვიკითხოთ: რუსეთში სწავლა-განათლების მიღება რატომ ნიშნავს ავტომატურად რუსეთუმეობას და რუსეთის სახელმწიფო ინტერესების გატარებას?

ბევრმა თქვა და მეც გავიმეორებ: განა რუსეთის უნივერსიტეტებში არ სწავლობდნენ ის ქართველები, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ მწერლობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში?

ამ გლობალისტური იდეოლოგიის ზეობის ჟამს, თუ საქართველოს ჯერჯერობით კიდევ უდგას სული, ეს მათი წყალობით, მათი დანატოვარი იმედით, მათი უკვდავი ანდერძით, მათი თავდადებით.

დიახ, რუსეთში სწავლობდნენ, ოღონდ სწავლობდნენ არა იმიტომ, რომ რუსეთს მომსახურებოდნენ, არამედ იმისთვის, რომ იქ მიღებული სწავლა-განათლებით თავის სამშობლოს გამოსდგომოდნენ.

სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ რუსეთში განათლებამიღებული თერგდალეულთა თაობა თვითონ ჩაენაცვლა სახელმწიფოს, თვითონ იქცა ქართული სახელმწიფოებრიობის იდეების ქადაგად და მებაირახტრედ.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, რუსეთში სწავლობდნენ...

საერთოდ მეუხერხულება, ამაზე რომ ვლაპარაკობ, იმდენად პროვინციალური და სულელურია თემა, რომლის გარშემოც ასეთი აურზაურია ატეხილი.

მთავარი ის კი არ არის, ვინ სად სწავლობდა, არამედ მთავარი ის არის, ვინ არის თვითონ.

„მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“-ო, — ბრძანა პოეტმა.

მეუფე შიო ბუნებით არის გამორჩეული პიროვნება და როცა პატრიარქმა მასზე გააკეთა არჩევანი, ალბათ, ეს იყო უმთავრესი, რითაც ის სხვებისგან გამოირჩა და არა იმით, სად, რომელ კონტინენტზე მიიღო წვრთნა.

და კიდევ ერთი: ვიღაც-ვიღაცებს ავიწყდებათ, რომ რუსული მწერლობა, რუსული კულტურა, რუსული ხელოვნება, რუსული განათლების სისტემა თავიდან ბოლომდე ევროპულია, თავიდან ბოლომდე ევროპულ ფასეულობებსა და ღირებულებებზეა აგებული.

ასე რომ, ადამიანებისთვის იმის წამოძახება, რომ რუსეთში მიიღეს განათლება, სამარცხვინო და სულმდაბლური სპეკულაციაა და მეტი არაფერი.

დაბოლოს, რუსეთში 700 000-მდე ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს, რომლებსაც არავისზე ნაკლებად არ უყვართ საქართველო.

ჩვენი როყიო და პროვოკაციული განცხადებებით ნუ ვაყენებთ მათ შეურაცხყოფას, ნუ ვტკენთ გულს და ნუ ვუბიძგებთ გაუცხოებისკენ.

●

როგორც ვთქვით, სინოდის წევრთა ერთმა ჯგუფმა პატრიარქის არჩევანს თავიდანვე დაუდო პოლიტიკური სარჩული და მისი გადაწყვეტილება საქართველოსადმი აგრესიულად განწყობილი რუსული სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული პოლიტიკური მოტივებით ახსნა, ხოლო სულ მალე ამერიკიდან დაბრუნებულმა მეუფე იაკობმა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ჯგუფის ლიდერია, ისეთი პოლიტიკური განცხადებები აკეთა, საგარეო საქმეთა მინისტრს შეშურდებოდა.

— რუსეთი ერთმორწმუნეა, მაგრამ მოღალატეაო. აი, ამერიკას კი არასოდეს არ უღალატია ჩვენთვისო. ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია ამერიკასთან თანამშრომ-

ლობაშიო, — ბრძანებდა მეუფე იაკობი და მას რომ ვუსმენდი, მეგონა, უცხოური გრანტებით დაფინანსებულ რომელიღაც ახალი პოლიტიკური პარტიის მეთაურს ვუსმენდი.

არადა, მეუფე იაკობი უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირია, რომელიც, წესით და რიგით, პოლიტიკაში კი არ უნდა ერეოდეს და პოლიტიკურ განცხადებებს კი არ უნდა აკეთებდეს, არამედ ამბიონიდან ერს სულიერი ამაღლებისკენ, ერთიანობისკენ უნდა მოუწოდებდეს და ღვთისკენ მიმავალ გზას უნდა აჩვენებდეს.

მეუფე იაკობმა და მისმა ჯგუფმა ახალი „ღმერთის“ ძებნა აშშ-ის პოლიტიკურ ინსტიტუტებში და იმ ორგანიზაციებში დაიწყეს, რომელთანაც, მათივე ინფორმაციით, დახურული, საიდუმლო შეხვედრა ჰქონდათ, სადაც გაქარწყლებულა თურმე ის არასწორი წარმოდგენები, რაც აქამდე ამერიკელებს ჰქონიათ ჩვენს სამღვდელოებაზე.

— ჩვენთან საუბრის შემდეგ სულ სხვა წარმოდგენა შეექმნათ ჩვენზეო, — ამაყად განაცხადა მეუფე იაკობმა, თუმცა არც ის დაუზუსტებია, ან აქამდე რატომ ჰქონდათ ამერიკელებს ცუდი წარმოდგენა ქართულ ეკლესიაზე და მის წარმომადგენლებზე და ისეთი რა თქვეს და რა უთხრეს ამერიკელებს მეუფე იაკობმა და მისმა კოლეგებმა, რომ ეს ცუდი წარმოდგენა ერთბაშად შეეცვალათ?

ამასაც რომ თავი დავანებოთ, რატომ უნდა

ჰქონოდათ დახურული და საიდუმლო შეხვედრა სასულიერო პირებს ვინმესთან? რა არის ისეთი, რაც თავის ერს, თავის მრევლს უნდა დაუმალოს სასულიერო პირმა?

სასულიერო პირები ხართ თუ კონტრდაზვერვის თანამშრომლები ან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საიდუმლო შეხვედრებს რომ მართავთ?

ასეა თუ ისეა, მეუფე იაკობმა და მისმა თანამოაზრეებმა ღიად დააფიქსირეს თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია აშშ-ის სასარგებლოდ და ასევე ღიად მიანიშნეს, რომ მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს პატრიარქის „პრორუსული“ გადაწყვეტილების საპირწონედ, მის ალტერნატივად.

აი, ეს არის ის ქმედება, რომელსაც ტერაქტი ვუწოდეთ წერილის დასაწყისში და რომელსაც, ადვილი შესაძლებელია, ქართული ეკლესიის შიგნით რღვევა და დაპირისპირება მოჰყვეს.

რა ქნას ყოველივე ამის შემდეგ მრევლმა — პოლიტიკური ნიშნით ორად უნდა გაიყონ და აშშ-ის მომხრეები მეუფე იაკობის და მისი ჯგუფის მხარეს უნდა დადგნენ, სხვები კი მეორე მხარეს?

კი, მაგრამ, ამ ორი მხარის პოლიტიკურ დაპირისპირებაში დაკარგულ ღმერთს რა პასუხს ვცემთ ან ერთი ღმერთით, ერთი ჯვრით, ერთი მადლით შეკრულ ჩვენს ერთიანობას რა ხვედრს ვუმზადებთ?

რა საინტერესოა, მეუფე იაკობი ახალ რელიგიას, უფრო ზუსტად, ერთდროულად რელიგიური და პოლიტიკური ელემენტებით შეჯერებულ ახალ ორგანიზაციას ხომ არ ქმნის, ნეტავ?

●

არ მინდა დავიჯერო, რომ მართალია ის, რასაც ზოგიერთ მეუფეზე და მათ შორის მეუფე იაკობზეც ლაპარაკობენ.

არ მინდა დავიჯერო, რომ მღვდელმთავართა ერთი ნაწილი ვერცხლისმოყვარეობამ. სიმდიდრის და ქონების მოხვეჭის დაუოკებელმა სურვილმა ისე დაებრმავა და გადააგვარა, რომ თავიანთი უპირველესი და უმთავრესი მისია დაავიწყდათ.

არ მინდა დავიჯერო, რომ ზოგიერთ მღვდელმსახურს ერისკაცობაში ისეთი ცოდვები აქვს ჩადენილი, რომ მათ მოსანანიებლად მთელი ცხოვრება სენაკში უნდა იყო ჩაკეტილი და მუხლმოყრილი ღმერთს პატიებას უნდა ევედრებოდე, ისინი კი შავ ჯიპებში ჩამსხდარნი, გალაღებულნი და ნაპატიებნი, სხვებს მოძღვრავენ, სხვებს ასწავლიან, როგორ უნდა იცხოვრონ სწორად.

თუ მოინანიებ, ყველა ცოდვა მიგეტევება, მაგრამ რომ არ ჰგვანან ესენი მონანიებულებს და გულწრფელი სინანულით განწმენდილებს, ამას რა ვუყოთ?

მკრეხელობად მიმაჩნია იმის გაფიქრებაც კი, რომ მავანს და მავანს ანაფორა ისე აქვს მორგებული ტანზე, როგორც მგელს ცხვრის ტყავი, რომ თავისი მგლობა დამალოს.

არც იმის დაჯერება მინდა, რომ მეუფე შიოს მოსაყდრედ გამოცხადებამ ზოგიერთი დააშინა — ვაითუ, რისთვისაც აქამდე მიმიღწევია და რაც აქამდე მიშოვია, ყველაფერი ერთბაშად დავკარგოო და სწორე ამ შიშის გამო მოიძიეს „მოკავშირედ“ ნატო და ამერიკა,. რომ მათ კალთას შეეხიზნონ და თავი დაცულად იგრძნონ.

●

ქართველი კაცი ხშირად იტყვის ხოლმე — უზარმაზარი იმპერიები აღიგავნენ პირისაგან მიწისა, საქართველო კი დღემდე არსებობს და დღემდე ფეხზე დგას!

ქართველი კაცი სიამაყით ამბობს ამას, მაგრამ სიამაყესთან ერთად მის ნათქვამში გაკვირვებაც და გაოცებაც იგრძნობა.

მას გულის სიღრმეში ნამდვილად უკვირს, მართლაც რა ძალამ გადაარჩინა გავეშებული იმპერიების რკალში მოქცეული ეს პატარა ქვეყანა?

რამ გადაარჩინა და ქრისტიანობამ, ანუ იმან, რის გამოც გვაოხრებდნენ, განადგურებდნენ, გვწვავდნენ, გკვლავდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი კიდევ უფრო გვაძლიერებდა, რომ არ დაგვეთმო უმთავრესი ღირებულება — ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა.

თუ დღეს ვიღაც-ვიღაცების სიხარბის, ეგოისტური ინსტინქტების, სულმოკლეობისა და სულმდაბლობის წყალობით, ქართულ ეკლესიას ბზარი გაუჩნდება, ამან შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა შეიწიროს.

ჩვენი ქალაქის ბრენდი 80 წლისაა

გელა მუხაშავრია 80 წლის გახდა. ეჩოთირება ეს 80 წელიწადი და ამბობს: ვაააა, რამდენი მიცხოვრია, მერე იწყებს ამბების მოყოლას და ყველაფერი ერთნაირად საინტერესოა, ბავშვობიდან დაწყებული დღემდე, თბილისიდან -გურიამდე და დედულეთიდან -მამულეთამდე, სოფლიდან ქალაქამდე, სტუდენტობიდან-ექიმობამდე და ოჯახიდან მეგობრობამდე!!!

გელა მუხაშავრიამ დაიპყრო ექიმისათვის საოცნებო ყველა სიმაღლე, აღზარდა ექიმები, შექმნა და დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს პროქტოლოგიურ ცენტრს, აქვს ორი საავტორო ოპერაციული მეთოდი, რომლის შესახებაც სტატიები გამოქვეყნდა ამერიკულ სამედიცინო ჟურნალში, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ასობით მადლიერი და ტკივილებდამცხრალი პაციენტია. თუმცა ახლახან საპატიო თბილისელის წოდება მიანიჭეს და ეს მართლაც გამორჩეული და საამაყოა მისთვის. სანამ ეს ჯილდო გადაეცემოდა, ჯანო ბაგრატიონმა დაწერა- ჩემო გელა, ამ წოდებით შენ დოკუმენტურად გაღიარებენ, თორემ ჩემი თაობისთვის-ვინც შენი განვლილი გზა იცის და კარგად გიცნობს, იმათთვის ნაღდად საპატიო თბილისელი კარგა ხანია ხარო. გიზო ნიშნიანიძემ კი მისი „პაემანი ვერაზე“ რომ უსახსოვრა, ზედ წაუწერა: არც კი მახსოვს, როდის შეგხვდი და, მით უმეტეს, როდის დაგშორდი, მახსოვხარ თუ არ მახსოვხარ, ჩემთან ხარ და ჩემთან მეგულები, ძმა ხარ არა დედით, არა მამით, დედაქალაქით, თბილოსელობი თ. ბედთან ერთად იმასაც ტრ..ი უნდა, შენისთანა პატრონი გყავდეს, რომ მიქელ-გაბრიელს აქ არაფერი შეეშალოს და რამე ცოდვა არ ჩაადენინოს!“-ო.

ახლა გელას შეუძლია ბევრი ღირსეული ადამიანი გაიხსენოს, ამაყობს მისი თაობით და ხვდები, იგი მისი თბილისის მემატიანეა. დედაქალაქი მისთვის ყოველთვის ავლაბარში იწყებოდა და ასეა ახლაც, ისევ ბავშვობისდროინდელ, მშობლების სახლში ცხოვრობს და არც უფიქრია სხვაგან, უკეთეს უბანში თუ სახლში ცხოვრებაზე, რადგან მიაჩნია, რომ ეს კედლები წინაპრების ხსოვნას ინახავენ, კედლის ბზარებიც ნაოჭებიაო. სიმოვნებით იგონებს იმ დროს, სახლი სავსე რომ იყო სტუმრებით, გურიიდან თუ იმერეთიდან(დედულეთიდან) ჩამოსული სტუდენტებით თუ სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანებით. მათთვის ამ სახლში სულ იყო ადგილი და ერთი კუთხე სავსე იყო „ლეჟანკებით“, თბილისი ყველას მასპინძელი და შემფარებელი იყო და ამ ტრადიციას ყველა ერთგულებით ეკიდებოდაო. ნატრობს იმ თბილისსაც, რუსთაველზე ადამიანები ერთმანეთს ღიმილით რომ ესალმებოდნენ და ცნობილი ადამიანების, მსახიობების, პოეტების, მხატვრების სანახავად დადიოდნენ! ქუჩას მაშინ სხვა დატვირთვა და ხიბლი ჰქონდაო!

გელასთან შემთხვევით შეხვედრილი ადამიანებიც კი მის მეგობრობას იჩემებენ და ეს არც არის გასაკვირი — მასთან ნებისმიერი ურთიერთობა უშუალო, ძალდაუტანებელი დამოკიდებულებაა. პირველივე შეხვედრისთანავე გრჩება შთაბეჭდილება, რომ შენ მას დიდი ხანია იცნობ და უფრო მეტიც, ყოველთვის გიტოვებს ახალი შეხვედრის საბაბს, რადგან მას ჩვენ, ყველა -„არასიაფანდები“, მაგრად „ვევასებით“. თავს ფრაზითაც დაგამახსოვრებს — ხან ჟარგონს იშველიებს და ხანაც სიტყვებს ეთამაშება. მაგალითად, თუ არის სიტყვა ქვეყანა, ზეცაში ცხოვრებას ზეყანა უნდა ერქვასო. წერა და სიტყვებთან თამაში ახალგაზრდობაშიც ჰყვარებია, მაგრამ ახლა, როცა მოსაგონარი ბევრი აქვს, ჰოულობს დროს, რომ დაჯდეს და დაწეროს, ზოგი აფორიზმად, ზოგი ლექსად, ზოგიც უბრალოდ, გახსენებად. არ წყდება ყოველდღიურობას და ქვეყნის მაჯისცემასაც ადამიანის გულისცემასავით ზომავს, თანმიმდევრობით უყურებს საინფორმაციო გამოშვებებს და გულისტკივილამდე წუხს ყველა ნეგატიურ ამბავზე, რაც მის ქვეყნას და მომავალს უკავშირდება.

ერთხელ, სუფრაზე გელა წამომდგარა და გამოუცხადებია- ტყის სადღეგრძელო უნდა დავლიოო. თანამეინახეებს უფიქრიათ, როგორც მეტყევე-ენტომოლოგის შვილი, ალბათ ტყის გადარჩენისას ამბობსო. თუმცა ვერ მიუხვდნენ... — გაუმარჯოს ტყეს, სადაც მგელი მგელია, ირემი-ირემი, დათვიც დათვობს და ტურაც ტურაა. იცი, რომელი რაზეა წამსვლელი, მგელი ჩაგისაფრდება, დათვი დაგტორავს, ტურა მოგეპარება, იცი ეს და შენც შესაბამისად მოერიდები. ადამიანებს კი სმოკინგები აცვიათ, მჭერმევტყველებენ და ზოგში მგელია,

ზოგში — ტურა, ზოგში — ვინ და ზოგში — რა, მიდი და გამოიცანი... ტყე ნაღდია, გაუმარჯოს ტყეს, სადაც არავინ თამაშობს, ყველა ნაღდია, ისაა, რაც არისო! დღემდე ასე ამბობს გელა და ამიტომაა, ნიღაბი მხოლოდ საოპერაციოში რომ უკეთია, თორემ ცხოვრებაში ნიღბიანებს ვერ ეგუება და ამბობს: იყავი ის, რაც ხარ!

კოლორიტული, ერთგული, გამორჩეული, პროფესიონალი, ექიმზე მეტი, ადამიანთა ურთიერთობის მონოპოლისტი, იმედიანი, ქველმოქმედი, ჩვეულებრივად არაჩვეულებრივი, ღვაწლმოსილი, არასტანდარტული, შემკული, ყველასთვის საკუთარი, კაცი ჩემი სასალმეთიდან, ჩემი ქალაქის ბრენდი, მთავარი ღირებულებების მასწავლებელი, ყველაზე მდიდარი ღარიბი — ასე შეაფასეს იგი იმ ადამიანებმა, ვისთან ერთადაც უცხოვრია და ვისთან ერთადაც ბერდება!

მესზე ბევრი დაწერილა, თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ქართული გამოცემა, სადაც მასთან ინტერვიუ არ გამოქვეყნებულა. იგი ხალისიანი მოსაუბრეა, გულწრფელობითა და არტისტულობით გამორჩეული. კარგი მოსმენაც იცის, გულიანი და ყურადღებიანი, თუკი შეგატყოთ, რამე გიჭირთ, აუცილებლად გკითხავთ- მე რა შემიძლია, და თავი არ ეზოგება!

დღეს ჩვენ რა შეგვიძლია მისთვის?

— მადლიერება და სიყვარული გვინდა გამოვხატოთ, რომ განგებამ მასთან შეგვახვედრა, სიკეთის, სიყვარულის და უანგარობის მაგალითები ხელისგულზე დაგვიდო და გვათქმევინა — გილოცავთ და გვინდა, როგორც გურიაში იტყვიან-მშვიდობა იყოს, ვიყოთ ერთ ხანს და ვუყუროთ ერთმანეთს. აწი, ამ სიყვარულს არაფერი შეცვლის!

ნინო კვაჭანტირაძე
აკაკი სიხარულიძე

უნდა ჰყავდეთ თუ არა სასულიერო პირებს „სტრატეგიული პარტნიორები“ სამხედრო ალიანსებიდან?!

24-ნოემბერს ვაშინგტონში მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ვიზიტიდაიწყო, რომელიც 29 ნოემბერის ჩათვლით გაგრძელდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრის, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკის განცხადებით, საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა დასავლეთია. აღნიშნული განცხადება მეუფე მელქისედეკმა აშშ-ში ვიზიტის დროს გააკეთა: „ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ვიზიტი, იმიტომ რომ აშშ ჩვენი ქვეყნის ყველაზე ძლიერი მოკავშირეა. ჩვენ ვცდილობთ, რომ მასთან ახლო ურთიერთობა გვქონდეს.მრევლს ჩვენ თვითონ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა არის დასავლეთი, რა ღირებულებებია, ამ უდიდეს ისტორიულად ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობა აუცილებელია. ყოველთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა გადავარჩინოთ. ერთადერთი გზა არის დასავლეთი“, – განაცხადა მეუფე მელქისედეკმა.

დასავლეთისკენ გულ და გონება „მიბრუნებულმა“ მეუფე იაკობმა კი ვიზიტი ასე შეაფასა – „ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანით. ძალიან ბევრ რამეს სხვა თვალით შევხედე თ. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ამ ვიზიტს იმიტომ ჰქონდა, რომ ნახოს ამერიკამ, ეკლესიაც ისე ვართ, რომ არ ვაპირებთ ჩვენს მოწინააღმდეგეებთან რაღაც დათმობაზე წასვლას. თავისუფლების გაყიდვა არაფრად არ



მეუფე იაკობი

გვიღირს. ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მას ჩვენთვის არ უღალატია. ჩვენი თავისუფლების გამო რამდენი წელია რუსეთი ღიად გვეომება, ამიტომ ამერიკის მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“. საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, რომ ასე არ ფიქრობს სოციალურ ქსელში აშკარად ჩანდა, ძალიან ბევრი ადამიანი აგრესიას ვერ მალავდა და არცთუ შესაფერისი სიტყვებით ამკობდა აშშმოვლილ და „ნირშეცვლილ“ სასულიერო პირებს.

„გულში დანის გაყრას გავდა ბოლო დროს მომხდარი ამბები. კაი, მიშას სამღვდელოებიდან არ ველოდი კარგს, მაგრამ არც სხვებს დაუკლიათ – ფულზე და ძალაუფლებაზე გაიყიდნენ – მართლა მეტკინა ეს ამბავი“.

„კიდევ ერთხელ დავრწმუნდი რომ, მეუფე შიო ძალიან წესიერი ადამიანია. ჩვენ გვეჩქარება და ღმერთს არა, ალბათ ესაა ჩვენი გზა“.

– „ძალიან ცუდად გვაქვს საქმე – ძალიან. ამ ადამიანებმა (ღმრთის მსახურებმა) თუ არ იციან ერთადერთი გზა ხსნისა და გადარჩენის სადაა, მაშინ მრევლს ამბიონიდან რა უნდა უქადაგონ?

„ახლა უფრო ვხვდები რა ბრძენი პატრიარქი გვყავს და რა ბეწვის ხიდზე გაიარა, მართლმადიდებლობა რომ შეენარჩუნებინა და აქამდე – მადლობა ღმერთს – რწმენით მოეტანა იმ ნამდვილი მამების მხრებითა და ღვაწლით, რომელიც ღმრთის შეწევნით, ბევრი გვყავს საქართველოში. სასწრაფოდ რუის-ურბნისის კრების მოწვევაა საჭირო“.

„სასულიერო წრეებში ყველაზე კარგად უწყიან, რა ჯოჯოხეთი გამოიარა ქვეყანამ, ნაც-ჯალათების დიქტატურის დროს. ციხეებში მხოლოდ სასულიერო პირები შედიოდნენ და უშუალოდ პატიმრებისაგან იღებდნენ ინფორმაციას.

ამერიკით მოხიბლულ იერარქებს მინდა ვუთხრა: ეს ის “მეგობარი” ამერიკა არაა, 9-წლიანი ჯოჯოხეთი რომ დემოკრატიის შუქურად მონათლა და დღესაც თავისი ემისრებით რომ მართავს ქვეყანას!“

„ეკლესიაში მღვდლის გამო კი არა ღმერთის გამო უნდა იარო, შესაბამისად ვისაც სწამს მისთვის არნაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს სამღვდელოების არაადეკ-



მეუფე ანტონი

ვატურობას. ძალიან ბევრი აგებთ პასუხს იმის გამო, რა სიბინძურესაც ავრცელებთ“.

ეკლესიის წარმომადგენელი სასულიერო პირების ვიზიტი საზღვარგარეთ პირველი არ ყოფილა. ისინი საინფორმაციო შეხვედრაზე 2016 წლის ნოემბერშიც ბრიუსელში იმყოფებოდნენ. ვიზიტი მიმდინარე წლის თებერვალშიც შედგა. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები და სასულიერო პირები სამუშაო შეხვედრებს ნატოს სათავო ოფისში მართავდნენ. ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრები შეხვდნენ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის.

ბელგიაში. ვიზიტის შესახებ ისაუბრა ბაღდათის მეტროპოლიტმა ანტონმაც. მისი განცხადებით, სასულიერო პირები დაინტერესებულები არიან, თუ რა ფასეულობები აქვს ნატოს და როგორი იქნება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი. ჩვენ აქ ყველანაირად მიღებული ვართ... ისევე, როგორც ჩვენ, მათაც ემსხვრევათ არსებული სტერეოტიპები, აინტერესებთ, ვინ ვართ, რა ხალხი ვართ. ჩვენც გვაინტერესებს სად შევდივართ და რა ფასეულობებია იქ. ჩვენი ვიზიტი და ჩვენი წარმომადგენლობა სწორედ ამას ემსახურება”. (საინტერესოა, ეპისკოპოსმა საბამ და ანტონმა, იუგოსლავიაში სააღდგომოდ დაბომბვის, მათ შორის, მართლმადიდებლური ტაძრების და ბომბზე წარწერების „გილოცავთ აღდგომას“ შესახებ არაფერი იციან?) ...საზოგადოებას ახსოვს 2011 წლის ზაფხულში სინოდზე განხორციელებული ზეწოლა და სინოდის ოქმის გაყალბება ნაცხელისუფლების მიერ. სინოდის წინა საღამოს ნაც-ხელისუფლებისა და „კუდის“ მაღალჩინოსნები იმყოფებოდნენ საპატრიარქოში, უგულავა კი ისე გაკადნიერდა, რომ უყვიროდა მღვდელმთავრებს. სინოდის სხდომას უცხო პირები ესწრებოდნენ, მეზობელ ოთახში კი სოსო თოფურიძე იმყოფებოდა, რაც, ვფიქრობ, სინოდის წევრების დასაშინებლად იყო მოფიქრებული. ოთახში სხვადასხვა ადგილას უცნობი მოწყობილობები ელაგა. მოკლედ, განჩინების გაყალბება

მეუფე მელქისედექი

სინოდზე ზეწოლის შედეგად მოხდა. მსგავსი რამ არ მოხდებოდა ნაც-ხელისუფლებას თავიანთი მოკავშირეები, რომ არ ყოლოდა საპატრიარქოში და სამწუხაროდ, სწორედ ის „მოკავშირეები“ (მეუფეების დაკონკრეტებისგან თავს ვიკავებ) ხვდებიან ამჟამად მართლმადიდებლობის მტრებს ბრიუსელში თუ აშშ-ში. იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატომ გამოიყენა იარაღი, რომელიც აკრძალულია ნიურნბერგის ქარტიით, აგრეთვე, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებით. იუგოსლავიაში ნატო იყენებდა ურანის დაბალი შემცველობის ბომბებს, რომლიც არა მხოლოდ მაღალი სიზუსტით გამოირჩევა, არამედ რადიოაქტიურიც არის და ტოქსიკურიც. გარდა ამისა, ნატომ გამოიყენა კასეტური ბომბები —

იარაღი ფეთქებადი ყუმბარებით, რომელთა გამოყენებაც მოგვიანებით ოტავის კონვენციით აიკრძალა. ომი ავღანეთში? ერაყელთა გენოციდი? „დემოკრატიისთვის ბრძოლას“ მილიონი ერაყელის სიცოცხლე რომ შეეწირა, არადა 2004 წელს აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა აღიარა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მოპოვებული მონაცემები, რომელთა გამოც დაიწყო სისხლისმღვრელი ომი ერაყში, „არაზუსტი“ იყო.

ერაყის სამხედრო კომპანიაში ალიანსმა რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა: მსოფლიო შეძრა აბუგრეიბის ციხეში მოთავსებული ტყვეების წამებისა და შეურაცხყოფის კადრებმა, ინფორმაციამ მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკების — გაუპატიურების, ძარც-

მეუფე საბა

ვისა და მკვლელობის შესახებ და რა თქმა უნდა, საშინელი ქიმიური იარაღის — ფოსფორიანი ბომბების გამოყენებამ (2003 წელს იმამ ნასირის შტურმისას, აგრეთვე, 2004 წელს ალ-ფალუჯის აღებისას). ეს იარაღი, რომელიც ძვლამდე წვავს ხორცს, 1980 წლის გაეროს კონვენციით არის აკრძალული, თუმცა აშშ ამ კონვენციას არ შეუერთდა...

„სინოდის მოწონებული“ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, თავისი სამხედრო დოქტრინით, უფლებას იტოვებს, გამოიყენოს ატომური იარაღი, რომელიც 1996 წელს საერთაშორისო სასამართლოს მიერ არის აკრძალული...

სასულიერო პირი უნდა იყოს აბსოლუტურად მოწესრიგებული და ზნეობრიობის ეტალონი, მაგრამ... ქრისტეს თორმეტი მოციქული ჰყავდა და ერთ-ერთი, იუდა ისკარიოტელი, მისი გამყიდველი აღმოჩნდა. ანუ უფალმა დაუშვა, რომ თორმეტში ერთი ყოველთვის უღირსი იქნება. წარმოიდგინეთ, რომ ათას ორას მღვდელთმსახურში ასი იქნება იუდა ისკარიოტელი. თორმეტ ათასში კი – ათასი, მაგრამ გარდა იუდასი, უფალს ჰყავდა ბართლომე, ფილიპე, პეტრე, პავლე. თუ ადამიანი ეძებს, ყოველთვის იპოვის მღვდელთმსახურს, ვისგანაც მიიღებს იმას, რასაც ღვთის სიტყვა ეწოდება. როცა ანტიქრისტე ამქვეყნად იქნება და ქრისტეს წინააღმდეგ საბრძოლველად, სატანის სამეფოს მთელ ბოროტებას გამოიყვანს, და როცა ეს ბოროტება მთელ თავის ძალას გამოაჩენს – თავისთავადაც და იმ ადამიანთა მიერაც, ვინც მათ ნებაყოფლობით გაჰყვება, – მაშინ ქრისტეს სარწმუნოებისაგან კაცთა მოდგმის ყველაზე მრავალრიცხოვანი განდგომა მოხდება, რამეთუ ცრუწინასწარმეტყველნი და ცრუმოძღვარნი მრავალს აცთუნებენ, და უსჯულოება გამრავლდება და მრავალთა სიყვარული გაცივდება („და გამრავლებითა უსჯულოებისაითა განხმეს სიყვარული მრავალთაი“) (მათე,24,12), ისე, რომ როცა უფალი მეორედ მოვა, „პოვოს-მეა სარწმუნოებაი ქუეყანასა ზედა“ (ლუკა, 18,8) ჩვენს ქვეყანას დღეს, ყველაზე მეტად, სწორედ სულიერება და სიყვარული აკლია. გულგრილობამ და უიმედობამ დაიბუდა ქართველების გულში. ღვთის იმედად დარჩენილ საზოგადოების დიდ ნაწილს შუამავლად სასულიერო პირი სჭირდება და როცა უკანასკნელი „იმედი“ ნატოს და აშშ-ს კარიბჭისკენ მიგითითებს, ხვდები, რომ ნახევარი ჯოჯოხეთი დედამიწაზეა და მარტო უნდა იბრძოლო შენი თავის და ოჯახის დასაცავად.

ღვთის წყალობით ბრძენი პატრიარქი გვყავს, ჭეშმარიტი ღვთისმსახურებიც საკმარისზე მეტი, თანამედროვე იუდებს კი მოკრძალებულად ვთხოვ – იქნებ ნატოს და აშშ-ს „ღირებულების“ ქადაგებას, მრევლს სიყვარულზე, სინანულზე, მართლმადიდებლობის შეუფასებელ როლზე, ოჯახის და სამშობლოს სიწმინდეზე და სხვა ეროვნულ ღირებულებებზე უქადაგონ...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„ნაციონალების“ მიერ მაფიად ჩამოყალიბებულ განათლების სისტემას მარტო მინისტრების შეცვლა როგორ უშველის, როცა მთავარი მაფიოზები ადგილებზე არიან“

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი:

— ხორავას ქუჩაზე დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა, რაც მოწმობს, რომ ერი მთლად გადაგვარებული არაა და საღად აზროვნების უნარი კიდევ შემოგვრჩა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება, სანამ ურემი არ გადაბრუნდება, გზას ვერ ვხედავთ და ზოგჯერ, ამის მერეც გვიჭირს სწორი გზია დანახვა. მიჭირს ამ თემაზე ემოციების გარეშე საუბარი და უნდა მაპატიოთ.. პირველ რიგში, გარდაცვლილი მოზარდების ოჯახებს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს მივუსამძიმრებ და შემდეგ გეტყვით, რომ მხოლოდ მანდატურის ინსტიტუტი სკოლას ვერ იხსნის! მანდატურის კონტროლის არეალი კი არ უნდა გაზარდონ, მმართველი პარტია უნდა გამოვიდეს თავისი „ნაჭუჭიდან“, სპეციალისტებს და ექსპერტებს უნდა დაუძახოს და სასწრაფო ზომები გაატაროს, თორემ ასეთი ინციდენტები კიდევ გაგრძელდება. არ შეიძლება ამდენი უმოქმედობა და მხოლოდ შედეგებთან ბრძოლა. შედეგებს კი არა, მიზეზებს უნდა ვებრძოლოთ და მიზეზი სწორედ ხელისუფლების უმოქმედობაში იმალება..

— კონკრეტულად, რა ზომები უნდა მიეღო ხელისუფლებას სკოლებში წესრიგის და დისციპლინის დასამყარებლად?

— პირველ რიგში, ღრმა და ყოვლისმომცველი რეფორმები უნდა გაეტარებინა, რაც კანონში ცვლილებების შეტანას კი არა, ძირფესვიანად ახალი კანონების მიღებას გულისხმობს. განათლების მინისტრად მუშაობის პერიოდში, გიორგი მარგველაშვილმა ბრძანა, ეროვნულ სასწავლო გეგმებს გადავხედე და არაფერი შესაცვლელი არ არის, ცოტა ცვლილებებია შესატანიო. ხელისუფლების შესაცვლელად იმიტომ არ გვიბრძოლია, რომ იგივე, უვარგისი ზოგადი, უმაღლესი თუ პროფესიული განათლების კანონები გვქონოდა, რაც მანამდე. მე ვიღებდი მონაწილეობას „ქართული ოცნების“ პროგრამის შედგენაში, სადაც პირველ რიგში, კანონმდებლობის შეცვლაზე იყო საუბარი. მოვიდნენ ხელისუფლებაში და მერე აღარ შეცვალეს, ანუ მოგვატყუეს, ხომ? ამ „ზოგადი განათლების კანონით“ მართვა არის დანაშაული. მეტი რა ვთქვა? დანაშაულებრივი კანონები შეინარჩუნეს, კადრები დატოვეს, ერთ ადამიანს არ უშვებენ მმართველობიდან და ამ დაქცეულ განათლების სისტემას მარტო მინისტრის შეცვლა უშველის? მით უმეტეს, როცა მინისტრებადაც არაპროფესიონალებს ნიშნავენ.. ჯეჯელავა რომ ამბობდა, ამაზონის მსგავსი საიტი უნდა შევქმნათ და სკოლის საქმე იქ უნდა გავარჩიოთო, ამას ჭკუათმყოფელი ადამიანი იტყვის? სკოლა არასწორად გატარებულმა რეფორმებმა დაანგრია, რაც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე დაიწყო. სისტემის ნგრევის მასშტაბები სააკაშვილმა ზენიტში აიყვანა და „ქართულმა ოცნებამაც“ იგივე გააგრძელა. რატომაა განათლების სამინისტრო დღემდე ლომაიას და შაშკინის კადრებით სავსე და ვინ ლობირებს ნაციონალების მიერ პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ ადამიანებს, რომლებმაც სკოლებიდან 20 000-ზე მეტი წესიერი და მცოდნე პედაგოგი გარეკა, დედა უნივერსიტეტი ლამის ტექნიკუმად გადაგვიკეთა და მეცნიერები ჩარეცხა?

— როგორც მახსოვს, სკოლებში ძალადობის შემთხვევები მას შემდეგ გახშირდა, რაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ მოთხოვნით, მასწავლებლის უფლებები შეზღუდეს და მოსწავლეს უზომოდ დიდი უფლებები მისცეს.. აკრძალეს ბავშვების ჩხრეკა და გააუქმეს არასრულწლოვანთა საქმის ინსპექტორები, რომლებსაც ე.წ. რთულად აღსაზრდელ ბავშვები სკოლაშიც და სკოლის გარეთაც კონტროლზე ჰყავდათ.

— არა მარტო ინსპექტორები.. პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში არასრულწლოვანთა საქმეებისთვის ცალკე სამმართველოები იყო, სადაც არასრულწლოვანთა ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის მცოდნე ადამიანები მუშაობდნენ. სკოლას მენეჯერი კი არა, პროფესიონალი დირექტორი მართავდა და განათლების სამინისტროში სკოლისა და ტერიტორიული ორგანოების მართვის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ადამიანები მუშაობდნენ. სულ რომ ცეკას მდივნის ცოლი ყოფილიყავი, არ დაგაწინაურებდნენ, თუ შესაბამის საფეხურებს არ გაივლიდი. აი, ასეთი გამოცდილების მქონე პროფესიონალები გამოყარეს სამინისტროდან, მათ ნაცვლად, იურისტები შერეკეს და მინისტრებად ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები დაგვინიშნეს. მგონი, დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც კანონში წერია, რომ სკოლის დირექტორი შეიძლება არაპროფესიონალი ანუ პედაგოგიური განათლების არმქონე ადამიანი იყოს.

საერთოდ, ქვეყანაში, სადაც მსხიობებითადა სპორტსმენებით სავსე პარლამენტში ერთი პედაგოგი არ ჰყავთ, რომელი განათლების პრიორიტეტულობაზე და პედაგოგის პროფესიის პრესტიჟულობაზეა საუბარი?

ქვეყანაში აღზრდის კონცეფცია არ არსებობს. ნაციონალურმა მოძრაობამ სკოლებიდან სამლოცველო კუთხეები და ხატები გამოყარა და „ქართულმა ოცნებამაც“ იგივე გზა გააგრძელა. თუ ბავშვს რწმენა, ღვთის შიში და სიყვარული არა აქვს, არც მოყვასისი სიყვარული ექნება, არც ზნეობა და მორალი. ასეთ ცივსისხლიან სადისტს მანდატური დაამაგრებს?

„ნაციონალების“ მიერ მაფიად ჩამოყალიბებულ განათლების სისტემას მარტო მინისტრების შეცვლა როგორ უშველის, როცა მთავარი მაფიოზები ადგილებზე არიან.

— სკოლებში ძალადობის ფაქტები რელიგიის სწავლების დროსაც ხდებოდა..

— ჩხუბი და კინკლაობა და ასეთი სადისტური მკვლელობა ერთი არ არის. ვიმეორებ, სკოლა ხელკეტიანმა ადამიანმა კი არა, პედაგოგიკამ, ფსიქოლოგიამ, სკოლათმცოდნეობამ, ღმერთმა და სიყვარულმა უნდა მართოს. ათეული წლებია, საქართველოში გაშმაგებული ბრძოლა მიდის ეკლესიის, სკოლის და ოჯახის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ნებისმიერი სახელმწიფო ამაზე დგას. მიზანი თითქმის მიღწეული აქვთ, რადგან მშობლები შვილებს საერთოდ მოწყდნენ.. ოჯახების უმეტესობა დაშლილია. თუ ერთიანია, ქმარი ცალკე „სეირნობს“, ცოლი ცალკე და შვილისთვის ვერც ერთი იცლის. ძალიან მძიმე სათქმელი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სკოლა კორუმპირებულია და სასკოლო დისციპლინა დარღვეული. მე-11 და მე12 კლასელები სკოლას მასობრივად აცდენენ და გაცდენების მაჩვენებელი სხვა კლასებშიც მაღალია. ბევრი მოსწავლე სააფთიაქო ნარკოტიკებს მოიხმარს. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი რომ ჩავარდა, ამას წინა წლების საატესტატო გამოცდების შედეგებიც ადასტურებს. სკოლებში უამრავი ძალადობის ფაქტი ხდება, რომელიც არ ხმაურდება. რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანაში მიღებული არ არის განათლების ეროვნული დოქტრინა ანუ რასაც ესენი ეროვნულ მიზნებს ეძახიან და რაც აქვთ — ცუდი, კოსმოპოლიტური და უვარგისი, ისიც არ სრულდება.

— ამ თემებზე განათლების სამინისტროსთან თუ გქონიათ საუბარი?

— სამინისტრო ყველასთვის მიუწვდომელია და ვის უნდა ელაპარაკო? უამრავი სკოლის დირექტორისგან მსმენია, რომ მინისტრთან შეხვედრას ვერ ახერხებს. რატომ უნდა იყოს მინისტრი სკოლის დირექტორისთვის მიუწვდომელი?

— გავრცელებული ინფორმაციით, ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრებმა მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართეს. გადაწყდა, რომ სკოლების უსაფრთხოების მონიტორინგში საწყის ეტაპზე საპატრულო პოლიცია ჩაერთვება. მინისტრები შეთანხმდნენ, რომ შედგება უწყებათშორისო სამუშაო ჯგუფი, რომელიც დანაშაულის პრევენციის გეგმას შეიმუშავებს.

— მხოლოდ ეს საკმარისი არაა. ძალოვანმა სტრუქტურებმა სკოლებსა და სკოლის მიმდებარე ტერიტორიებზე დილის 9 საათიდან 4 საათამდე პატრულირება უნდა განახორციელონ. უნდა გადმობრძანდნენ ძვირადღირებული მანქანებიდან და ფეხით შემოვლა მოახდინონ. ეს დანები და ხანჯლები ყველა ქუჩაზე და ბაზრობაზე რომ თავისუფლად იყიდება, სასწრაფოდ მისაღებია კანონი, რომელიც არასრულწლოვანისთვის ცივი იარაღის მიყიდვას აკრძალავს. სასწრაფოდ უნდა შევიდეს კანონში ცვლილება და საერთოდ უნდა აიკრძალოს ცივი იარაღის თავისუფალი გაყიდვა. დანა მხოლოდ მონადირის ან ამ ტიპის სპეციალიზირებულ მაღაზიაში უნდა გაიყიდოს და მხოლოდ ზრდასრულზე. დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს სკოლის დირექტორების კონკურსის შედეგები. პარლამენტმა უნდა შეცვალოს დირექტორის შერჩევის კრიტერიუმები და თანამდებობაზე მხოლოდ ის ადამიანები დატოვონ, რომლებიც კომპეტენციით, ცოდნით და გამოცდილებით დაკავებულ თანამდებობას შეესაბამებიან.

— თქვენი აზრით, მომხდარის გამო, სკოლის დირექციას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს?

— სანამ ამაზე გიპასუხებთ, აუცილებლად უნდა ვახსენო კიდევ ერთი პრობლემა. სკოლის დირექტორების უმეტესობა ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ტრენერად მუშაობს და ტრენინგების დროს, სკოლის რამდენიმე დღით დატოვება უწევს, რაც დაუშვებელია. გასაგებია, რომ იმ ტრენინგებში დიდ გასამრჯელოს იღებენ, მაგრამ თუ ტრენერის ხელფასი უნდათ, სკოლის დირექტორობას თავი უნდა დაანებონ და სრულიად გაუგებარია, სახელმწიფო რატომ უშვებს ამას? სახელმწიფო მთლიანად მობილიზებული უნდა იყოს ბავშვების უსაფრთხოებაზე და ამას საკანონმდებლო დონეზე უნდა აგვარებდეს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რამდენიმე დღის წინ გიორგი მარგველაშვილმა ბრძანა, პასუხისმგებლობის ვინმესთვის დაკისრება ნაადრევიაო. როგორ, ამხელა დანაშაული მოხდა და პასუხისმგებლობა არავის უნდა დაეკისროს? მიუხედავად იმისა, რომ 51-ე სკოლის დირექტორს მანანა თურქაძეს დიდ პატივს ვცემ, ვერც ის, ვერც სკოლის დირექცია და კლასის ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან. სკოლა ვალდებული იყო, რომ პრობლემა დაენახა და თუ თვითონ ვერ მოერეოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და მშობლებთან ერთად ემოქმედათ. დიახ, ვისაც თანამდებობრივად ევალებოდა, რომ ასეთი ტრაგედია არ მომხდარიყო, ყველამ პასუხი უნდა აგოს. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ კანონს პატივი ვცეთ და სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა დავიწყოთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროის ინფორმაციით, 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობაში ბრალდებული ორი პირი დაკავებულია. „ჩვენ ყველას კარგად გვესმის რამდენად მნიშვნელოვანია ობექტურობის და სამართლიანობის ხარისხი მსგავს თემებში. შსს-ს სახელით მინდა დავარწმუნო საზოგადოება, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით დეტალები იქნება უმოკლეს ვადაში გამოძიებული, გამოძიების პროცესი დასრულდება და ყველა ადამიანი, ვინც პირადად მონაწილეობდა ამ დანაშაულში ან რაიმე სახის შემხებლობა ჰქონდა ამ დანაშაულთან, უმკაცრესად, ობიექტურად და რაც მთავარის, სამართლიანად დაისჯება.” — განაცხადა შს მინისტრმა გიორგი გახარიამ.

ნელი თორდია
571 35 36 88

ტრაგედია ხორავას ქუჩაზე

უსამშობლოდ დარჩენილი ბავშვების ტრაგედია

— რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? რატომ არიან ეს მოზარდები ასეთი აგრესიულები? ვინ არის დამნაშავე მომხდარში — სკოლა? ოჯახი? საზოგადოება? რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რომ ეს უბედურება არასოდეს განმეორდეს? — აი, კითხვები, რომლებსაც გასულ კვირას მომხდარი ტრაგედიის შემდეგ შეძრწუნებული და შეშინებული საზოგადოება სვამს.

რა თქმა უნდა, უდიდესი ტრაგედიაა, რომ ამ შემზარავ ამბავს ორი მოზარდის სიცოცხლე შეეწირა, თუმცა ისიც არანაკლებ დიდი ტრაგედიაა, რომ იმ მოზარდების სახით, რომლებმაც თანატოლები დანებით დაჩეხეს, რამდენიმე მკვლელი შეემატა მკვლელთა არცთუ ისე მცირერიცხოვან რიგებს.

იმედია, გამოძიება ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოიკვლევს ყველაფერს და სიმართლეს დაადგენს, თუმცა ის ვერ დაადგენს და პასუხს ვერ გასცემს ერთ მთავარ კითხვას — რა ხდება ამ ქვეყანაში, რა ხდება იმ საქართველოში, სადაც ხორავას ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედია სულაც არ გახლავთ ერთადერთი და გამონაკლისი შემთხვევა?

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, შეძრწუნებული და შეშინებული საზოგადოება მომხდარში გარკვევას ცდილობს და იმ მიზეზებს ეძებს, რომლებსაც შეიძლება ეს ტრაგედია გამოეწვია, ამ ძიებაში კი ხან მანდატურებისკენ იშვერს თითს, ხან მასწავლებლებისკენ, ხან შსს-სკენ და ა. შ.

მიზეზები მართლაც ბევრია, მაგრამ არის ერთი მთავარი მიზეზი, რაზეც არავინ ლაპარაკობს.

ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია და კიდევ სხვა ტრაგედიები, არის ტრაგედია იმ ბავშვებისა, იმ მოზარდებისა, რომლებსაც ჩვენ, უფროსებმა, სამშობლო დავუკარგეთ და ის ნიადაგი გამოვაცალეთ, რომელზეც ადამიანი ადამიანად უნდა აღზარდოს და სრულფასოვან მოქალაქედ უნდა ჩამოყალიბდეს.

ძალიან ვთხოვ ყველას, ეს სიტყვები პოეტური შეფერილობის მაღალფარდოვან სიტყვებად არ ჩამითვალოთ.

სინამდვილეში სწორედ ეს არის რეალური მიზეზი იმისა, რაც ჩვენს გარშემო ხდება და რასაც ვერ უძლებს მოზარდის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა.

ეს არის მორალურად და ფსიქიკურად ტრავმირებული თაობა, უსამშობლოდ, უეროვნებოდ, გრიგალის მიერ მიწიდან ამოგლეჯილ ხესავით უფესვოდ დარჩენილი თაობა, რომელსაც ვცდილობთ, არაფერი დავაკლოთ და შეძლებისდაგვარად მართლაც ყველაფერს ვაძლევთ, რისი გაღებაც შეგვიძლია, მაგრამ არ ვაძლევთ მთავარს — იმის გაგებას და შეგრძნებას, ვინ არიან ისინი? ვისი გორისანი არიან? რა წარსულიდან, რა ტრადიციებიდან მოდიან და როგორები და რანაირები უნდა იყვნენ, რომ ყველა წოდებაზე, ყველა ტიტულზე აღმატებული, ღირსეული ადამიანის სხელი ერქვათ.

ვინმემ უთხრა, ვინმემ აუხსნა ამ ბავშვებს, რომ ქართველი კაცისთვის უდიდეს სირცხვილად, ლაჩრობად, არაკაცობად ითვლებოდა, თუ ვინმეს დანას დაარტყამდა?!

ასეთ კაცს მთელი საზოგადოება მოკვეთდა და ზურგს შეაქცევდა ხოლმე, როგორც უკანასკნელ ვიგინდარას და ნაძირალას.

ვინმემ უთხრა, ვინმემ აუხსნა ამ ბავშვებს, რომ ქართველ კაცს წარმოუდგენელ დაცემად მიაჩნდა, ერთ კაცს რამდენიმე ერთდროულად დასხმოდა თავს და ეცემა?!

არ გეგონოთ, რაღაც ძალიან შორეულ ამბებს ვყვებოდე — სულ რაღაც ნახევარი საუკუნე გვაშორებს იმ დღიდან, როცა ერთმა არაკაცმა დანით მოკლა ერთი გამორჩეული თბილისელი ბიჭი, რამაც შოკში ჩააგდო იმდროინდელი თბილისის საზოგადოება, იმდენად არაქართული, იმდენად არათბილისური იყო ის, რაც მოხდა.

დღეს ასეთი ამბები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომელიც კი გვტკივა და გვწყინს, მაგრამ არ გვიკვირს, იმდენად შევეჩვიეთ და შევეგუეთ ყოველივე ამას.

უფრო მეტიც, დღეს ვიღაცა ვიღაცას დანით რომ დაჭრის, ეს ამბავი ვაჟკაცობად და კაიბიჭობად მიაჩნია და ვინ ხარ, რა ეროვნებისა ხარო, რომ ჰკითხო, — ქართველი ვარო, — ამაყად და თავმომწონედ გეტყვის.

არადა, არ არის ეს კაცი ქართველი — ქართული გვარ-სახელი კი აქვს, მაგრამ ერთი ჩვეულებრივი სალაზანა და არამზადაა, რომელსაც ქართველობასთან არაფერი აკავშირებს, გარდა გვარსახელისა.

ამ მოზარდების რომ გვიკვირს, განა იგივეს არ აკეთებენ უფროსები — მათი უბნელები, თანაქალაქელები, თანასოფლელები, რომლებისთვისაც არაკაცობად არავის ჩაუთვლია დანით ადამიანების ჭრა და ჩეხვა.

ამ ქვეყანაში ყველაფრის სამინისტროს ხომ არ დავაარსებთ, თორემ ადამიანის ქართველად აღზრდის და კარგ მოქალაქედ ჩამოყალიბების სამინისტრო კი უნდა არსებობდეს საქართველოში.

ვხუმრობ, რა თქმა უნდა, თუმცა სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე.

ცალკე სამინისტრო კი არა, წესით და რიგით, მთელი სახელმწიფო სისტემა, პირველ ყოვლისა, ადამიანის ადამიანად, თავისი ქვეყნის პატრიოტად და წესიერ მოქალაქედ ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს.

ესაა სახელმწიფოს უმთავრესი და უპირველესი დანიშნულება და არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, სოფლის აღორძინებაზე, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე ფიქრი, რადგან ეს ყველაფერი აზრს კარგავს, თუ ქვეყანას პატრონი და გულშემატკივარი არ ეყოლება.

ვინ უნდა აღზარდოს, როგორ უნდა აღიზარდონ ეს ბავშვები კარგ ქართველებად, კარგ მოქალაქეებად, კარგ ადამიანებად, როცა არც სკოლა, არც მედია, არც მწერლობა, არც სახელმწიფო და საერთოდ, არავინ არაფერს არ აკეთებს ამ მიმართულებით.

ისინი მარტოდმარტო, უპატრონოდ, უკონტროლოდ იზრდებიან — სიძულვილით, აგრესიით, უსიყვარულობით გაჯერებულ იმ უდაბნოში, რომელსაც ინტერნეტ-სივრცე ჰქვია.

ისინი სხვა „ქვეყნიდან“, სხვა „სახელმწიფოდან“ არიან და ამიტომაც გვიყურებენ, როგორც უცხოებს, ამიტომაც არ ესმით ჩვენი.

ის, რაც ხორავას ქუჩაზე მოხდა, წამდაუწუმ ხდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, იმ ქვეყნებშიც, რომლებსაც ჩვენ ვბაძავთ, რომლებიც სამაგალითოდ მიგვაჩნია.

ჩვენ ნელ-ნელა ვემსგავსებით მათ და ეს ძალიან გვიხარია, თუმცა, გასაკვირია, რა არის ამაში გასახარელი?

თუ გვინდა, გადავრჩეთ, საქართველომ უნდა დაიბრუნოს ის საქართველო, სადაც ქართველები ქართველებად გაიზრდებიან და არა უსამშობლო, ურწმუნო, უჯიშო არსებებად.

ვახტანგ ხარჩილავა

„ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა, დელიავ რანუნი“

ჭრელო პეპელა ერი ვართ ჩვენ...

გაფრენა ჩვენ არ ვიცით და დაფრენა...

გაფრენილი ჩვენ არ მოგვწონს და დაფრენილი...

ჯდომა-სხდომა კი, ჯდომა-სხდომა – იცოცხლე...

უმოქმედო ერი ვართ ჩვენ, ფეისბუქზე დარდს გადაყოლი ერი ვართ და ფეისბუქზე ენაამოდგმული ერი...

თავის დროზე რა ამბავი ავტეხეთ – გავაქიაქეთ მანდატურის სისტემა, რად გვინდაო, ვის უნდაო, ვისი შემოწმება უნდა გაბედოსო, რას ჰქვია, ჯარი შეჰყავთ სკოლაში თუ პოლიციაო, გაკვეთილზე კარი როგორ უნდა შეაღოსო...

ახლა, ის მანდატურის ინსტიტუტი გვეცოტავა, გვენიშნა, უნდა გაეჩხრიკა თურმე ყველა ბავშვი...

რატომ უნდა გაჩხრიკოს ყველა ბავშვი – ის ბავშვი გაჩხრიკოს, რომელიც საეჭვოდ მოეჩვენება და უნდა გაარჩიოს, ვისი გაჩხრეკვაა საჭირო და ვისი არა.

ზოგს ბავშვს ჩხრეკის ეშინია, ზოგს პროტესტის გრძნობას უჩენს და ზოგიც უარესს ჩაიდენს ჯიბრზე – ფსიქოლოგიაც მოიშველიეთ ხოლმე.

როცა ყველა ბავშვს ჩხრეკ, ამით იმ ყველა ბავშვს ეუბნები – რომ იმათაც შეიძლება მეორე ბავშვი მოკლან – ამით მათ ეუბნები, რომ იმათშიც ცხოვრობს ცხოველი და ეს ფსიქიკაში ჩადებული ძალიან საშიში კოდია, როდის მოგვიბრუნდება და სად არავინ იცის...

ნაცვლად ამისა, ხომ არ სჯობს მანდატურმა გადამზადება გაიაროს და ზუსტი ინსტრუქცია ჰქონდეს, მოზარდთა კამათის დროს, როგორ მოიქცეს?

ნაცვლად ამისა, ხომ არ სჯობს, ფსიქოლოგმა ასწიოს ერთი ადგილი, ტყუილად არ იღებდეს ხელფასს და პედაგოგებთან, მშობლებთან ერთად პრევენციული ღონისძიებები დაგეგმოს?

მაგრამ ეს რთულია, ამას წვალება სჭირდება...

რა სჯობს უკიდურესობას...

არ დავსვათ ჭრელი პეპელა, იფრონოს ასე უგზო-უკვლოდ, მაგის არც გაფრენა მოგვწონს



მაინც და არც დაფრენა, ჩვენ ვისხდეთ მყარად რაც მთავარია, ჩვენ...

ამას წინათ ერთი მშობელი მეუბნება – რას ჰქვია მასწავლებელმა არ უნდა იყვიროს მოსწავლეს, რომ დავინახე, როგორ იქცეოდნენ ბავშვები გაკვეთილზე, მე გადავედი ჭკუიდანო...

90-იან წლებში დავამთავრე სკოლა, ჩემი კლასელები ეწეოდნენ, მარიხუანსაც ეწეოდნენ და არყის ბოთლითაც დადიოდნენ სკოლაში – სწორედ იმ მასწავლებლის გაკვეთილზე ხმაურობდნენ ყველაზე მეტს, რომელიც ყვიროდა... როცა სამჯერ გიყვირებს პედაგოგი და იმას ვერ აასრულებს, რასაც გიყვირის – მორჩა, მისი რიდი აღარ გაქვს, რატომ გექნება? რა ეფექტი აქვს ყვირილს, ძარღვების დაძაბვის გარდა? რა ეფექტი აქვს ყვირილს, რომელიმე მოსწავლის ფსიქიკის დარღვევის გარდა?

ჯერ იმაზე გადავიჭერით ვენები – რას ჰქვია ბავშვის უფლებებს არღვევენ, უყვირიანო – ახლა ძლივს მოშუშებულ ვენებს იმისთვის გადავიჩხავთ – მეტი სიმკაცრე და მეტი ყვირილიო...

ბავშვი კი, ბავშვი აეკიდოს ჭრელ პეპლას – არც გაფრინდეს და არც დაფრინდეს...

ჩვენ ვისხდეთ მთავარია...

ერთ პედაგოგი იწონებდა თავს – მშობლებს ასე ვუთხარი – ფეხებზე მკიდია, თუ არ ისწავლიან, მათ სჭირდებათ, მე კი არაო...

ამ პედაგოგის მოსწავლეები რატომ არ ისაუბრებენ ძველი ბიჭებივით, ძველი გოგოებივით, ძველი წლებივით? რატომ?

შევა ამ კლასში წესიერი, მოზომილი, მშვიდი, მოწესრიგებული და მცოდნე პედაგოგი – გაიმეორებს ბავშვი იმ მოქართულე პედაგოგის სიტყვებს და ახლა ეს მეორე პედაგოგი დასცხებს – რას ამბობ, როგორ ამბობო?

ორმაგი სტანდარტის პედაგოგები რომ გვყავს, ზოგს რომ შეუძლია ფეხებზე ეკიდოს და მეორეს არა, ერთს რომ ყვირილით სწავლება ჰგონია კარგი და მეორემ რომ ზუსტად იცის ამ ჩემს ფეხებ ეფექტი რომ მოაქვს ყვირილს – რა ჰქნას ბავშვმა? როდემდე სდიოს იმ ჭრელ პეპელას? როდემდე?

ატყდა ფეისბუქზე ეგრევე საჯარო სკოლების ლანძღვა-გინება... 15-მდე ბავშვი რომ შეესწრო მკვლელობას და გამოძიებასთან თანამშრომლობაც რომ არ სურთ, ესეც სკოლის ბრალია? მანდაც არ შეუძლია ოჯახს ჩარევა?

ან იმ 15 ბავშვიდან თითოეულს რომ ფსიქოლოგის დახმარება რომ სჭირდება უეჭველად, ამაზე ვინ იზრუნებს, ამას ვინ მიხედავს? ისინიც გადავყაროთ? ისინიც გავატანოთ წყალს? ისინიც გავატანოთ ჭრელ პეპელას?

სკოლები დავხუროთო...

სკოლები კი არ დავხუროთ, პედაგოგები შევარჩიოთ სწორად, პედაგოგები... იმდენი კარგი პედაგოგია უმუშევარი – რომელი პედაგოგიც მკაცრ ფსიქოლოგიურ ტესტს არ გაივლის – გაკვეთილზე არ უნდა დავუშვათ, ბავშვს არ უნდა მივაკაროთ.

ორი წლის წინ, დეკემბერში, სემესტრის ბოლოს მითხრა ერთმა პედაგოგმა – შენს შვილს იმიტომ არ ვეკითხები გაკვეთილს, ვიცი რომ ასთმური შეტევები ჰქონდა და მეშინია ცუდად არ გახდესო...

ასთმის გამო გაკვეთილს არ ვეკითხებიო, დავალებას არ ვუმოწმებო – სერთიფიცირებულია არადა, მეტ ხელფასს იღებს არადა, თავს გვამეტებს არადა – ეგ რომ ვუთხარი, გადაეკიდასავით ბავშვს, მაგრამ ეგ გადაკიდებაც მოსწყინდა – გაკვეთილის და დავალების გამოკითხვა ეზარება და იმიტომ...

შედის იგივე კლასში რუსულის პედაგოგი, ქალბატონი ქორიძე და კვირაში რამდენი გაკვეთილიც აქვს, იმდენჯერ უსვამს მინიმუმ ერთ შეკითხვას ჩემს შვილს...

განა შესაძლებელია ერთ სკოლაში, ასე განსხვავებული პედაგოგები მუშაობდნენ? – რას მიხვდეს ბავშვი – ერთი პედაგოგი სამი თვის მანძილზე ზედ არ უყურებს და მეორე მუდმივად ამოწმებს, რა გაიგოს? როგორ მოიქცეს?

რა ჰქნას ჭრელო პეპელამ, არც აფრენილი მოგვწონს იცის და არც დაფრენილი და დაჯდომას და დამშვიდებას ვერ ასწრებს...

ჩვენ ხომ კარგად ვსხედვართ, რაც მთავარია...

მინისტრს გადაწვდნენ ახლა – მე რომ მინისტრის მოხსნას ვითხოვდი – მაშინ სასაცილოაო, ჭკვიანია და არ ეტყობაო, ჯიგარიაო – რას ერჩიო, მეუბნებოდნენ...

ახლა – მინისტრის ბრალია, თუ ბრალიაო... მასწავლებლები რატომ არ გამოდიოდნენ და არ ლანძღავდნენ მინისტრსო...

სიმართლეს გაუმარჯოს – ჯეჯელავას არაფერი გაუკეთებია, თორემ არც გაფუჭება დასცალდა – იმდენად ჭკუამხიარული იყო, მის ნათქვამს ვინ აგდებდა მოსმენის ღირსად?

სულ იმ ჯეჯელავას უსმენდით, აი...

ჯეჯელავამ მოტივაციაზე და ბავშვის წახალისებაზე რომ გესაუბრათ, ის ხომ ვერ მოისმინეთ, ის ხომ ვერ გაიგეთ – აბა, ვაშლის დარიგება სულელური და იდიოტური იდეა იყო, თორემ ბავშვს არ კლავს, როგორც ვიცი, არც აშტერებს, როგორც გამიგია... თუმცა კი, ერთი დღეც არ იყო გასაჩერებელი ჯეჯელავა მინისტრის ადგილას, მართალია, მაგრამ მაშინ ამბობდით, ჯიგარიაო და რავიცი...

მაგრამ, ჩვენ რა გვრიჯს, ენას ძვალი არა აქვს და ურმის გადაბრუნების მერე, მეურმეს ლანძღვა – გზა როგორ ვერ დაინახეო – ადვილია...

კარგად მახსოვს, ჯერ ისე მოგვწონდა ეს ძველი ბიჭები და ქურდები და ქურდული სამყარო – ყველა მზეთუნახავი გოგო ქურდის და უსაქმური ქუჩის ბიჭის ცოლი იყო, ყველა მეორე ბავშვს ავტორიტეტობა სურდა... მერე პოლიციელი და ჯარისკაცი ავიტაცეთ, ახლა ის უნდოდა ყველა ბავშვს და მოზარდს – რატომ? სახლში ესმოდათ ასე და იმიტომ, ჩვენ ავიტაცეთ და იმიტომ... მერე ეგაც მოგვწყინდა, კარცერში ხომ არა ვარ, კოლონიაში ხომ არა ვართო – ახლა ისევ კარცერი და კოლონია გვენატრება...

სად არის საზღვარი, სად არის შუალედი?

სად ვართ საზოგადოება და ინტერნეტში, ფეისბუქზე, ეკრანებთან, ტელეფონებთან – ურმის გადაბრუნებას ველოდებით, რომ მეურმეს წირვა გამოვუყვანოთ, ენით, ბატონო, ენით... არა, განა ფიზიკურად მოკვლაც როგორ არ გვინდა ხოლმე, მაგრამ ჩვენ ისე მოხერხებულად ვსხედვართ, ისე მოხერხებულად...

სანამ ჭრელ პეპელას ფრთები არ დასცვენია, იფრენს ასე წინ და უკან – აბა, მაგის დაფრენა არ მოგვწონს ჩვენ და აფრენა და...

მერე რა იქნება?

სანამ ასე ჭრელო პეპელა საზოგადოებას ვზრდით და ვკვებავთ, გამფრენები და გაფრენილები არ მოგვაკლდება, არ ვიდარდოთ...

ვერტიკალურები და ბრუნვადები ჩვენ...

თამარ კეშელავა
555 46 08 04

ძლიერი რეგიონები

ფქალტუბო

პრომეთეს მღვიმეს 23 წელიწადი უხელფასოდ იცავდა

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ დავით მარკოზაშვილმა გიორგი ტყაბლაძეს, რომელიც პრომეთეს მღვიმეს 23 წლის განმავლობაში იცავდა, ღირსების ორდენი, მადლობის სიგელი და ფულადი ჯილდო გადასცა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცნობით, გიორგი ტყაბლაძე პრომეთეს მღვიმეში 1984 წლიდან 2007 წლამდე დარაჯად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პრომეთეს მღვიმის უნიკალური ბუნებრივი ძეგლის პირვანდელი სახით შენარჩუნებაში. ასეთი დამსახურებისთვის, 2010 წელს, მღვიმის სახმელეთო გამოსასვლელის ტერიტორიაზე მისი ძეგლიც გაიხსნა.

2018 წლის პრიორიტეტები ხარაგაულში

საკრებულოს სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ არჩილ მაღრაძემ დეპუტატების კითხვებს უპასუხა.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხრიდან ძირითადი აქცენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-მოლითი-ჩუმათელეთის გზის 50 კმ-იანი მონაკვეთის დაბის ტერიტორიაზე გავლას შეეხო.

დეპუტატების პოზიცია ასეთია: აღნიშნული გზის 1500-მეტრიანი მონაკვეთი, რომელიც პროექტის მიხედვით დაბა ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე გადის, შემოვლითი გზით უნდა განხორციელდეს.

საკრებულოს წევრის, თემურ ფცქიალაძის განმარტებით, აუცილებელია მოლაპარაკებები გაგრძელდეს აზიის განვითარების ბანკთან, რადგან ამ მონაკვეთის დაბის ტერიტორიაზე გავლას ხარაგაულის მოსახლეობა წინააღმდეგობას გაუწევს. გზის ცენტრალურ ქუჩაზე დაგეგმვა, მაშინ როდესაც გზაზე ორი საჯარო სკოლა მდებარეობს, მიზანშეუწონელია.

არჩილ მაღრაძის განმარტებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას რამდენჯერმე ჰქონდა მოლაპარაკება საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რათა ეს მონაკვეთი გვირაბებისა და ესტაკადების მოწყობით შემოვლითი გზით გაკეთებულიყო.

„საუკუნის პროექტი რომ კეთდება, ამაზე ყველა ვთანხმდებით. უნდა აღინიშნოს, რომ ძირულა-მოლითი-ჩუმათელეთის გზის მშენებლობა წაადგება ხარაგაულის ეკონომიკურ გაძლიერებას და სოციალურ ფონს უკეთესობისკენ შეცვლის. მუნიციპალიტეტის მერიამ რამდენჯერმე დასვა საკითხი საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რომ დაბის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობანაგებობები ამორტიზებულია და ისინი ავტომანქანების ინტენსიურ მოძრაობას ვერ გაუძლებს. დეპარტამენტიდან მივიღეთ პასუხი, რომ ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე დაიგება ასფალტის ახალი საფარი და მაქსიმალურად იქნება დაცული უსაფრთხოების ყველა ზომა. ასევე, ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე აიკრძალება ტრანზიტული მოძრაობა და გზაზე მხოლოდ მსუბუქი ავტომობილები გადაადგილდებიან. გთავაზობთ, შევქმნათ სამუშაო ჯგუფი და ერთად ვიმსჯელოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე. ალბათ, შეიძლება პროექტის შეცვლა“, — აღნიშნა არჩილ მაღრაძემ საკრებულოს სხდომაზე.

დეპუტატებმა მომავალ წელს სოფლებში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაამახვილეს ყურადღება. ხარაგაულის მერის პირველი მოადგილის განმარტებით, ჯერ არ არის გარკვეული, თუ რა თანხით დააფინანსებს რეგიონული განვითარების ფონდი ხარაგაულს. არჩილ მაღრაძე აღნიშნავს, რომ პროექტები მზად არის და როგორც კი დაზუსტდება ხარაგაულისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობა, მუნიციპალიტეტის მერიას საშუალება მიეცემა, განსაზღვროს 2018 წლის პრიორიტეტები.

გურჯაანში მაწანწალა ძაღლების პრობლემა მოგვარდება

გურჯაანში აშენდება ძაღლების თავშესაფარი და იგი მთელ რეგიონს მოემსახურება. მშენებლობა მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი და მასში მონაწილეობას, წინასწარი ინფორმაციით, ყველა მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს. გურჯაანის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში უპატრონო ძაღლებისთვის თავშესაფრის მოწყობის მიზნით 100 000 ლარი უკვე გათვალისწინებულია. საკითხზე მუშაობენ სხვა თვითმმართველობებიც. რეგიონში მაწანწალა ძაღლების პრობლემა წლებია არსებობს და მოსახლეობამ საკითხის მოგვარება არაერთხელ მოითხოვა.

აბაშა – დისკუსია შშმ პირთა ინტეგრაციის შესახებ

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პირველ საჯარო სკოლაში გაიმართა დისკუსია. მასში მონაწილეობდნენ აბაშის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირები, მათი ახლობლები, ასევე, ორგანიზაცია „სიკეთის მაძიებლის“ ხელმძღვანელი ირაკლი ჭანტურია, აბაშის მუნიციპალიტეტის მერი ლევან მაკალათია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლები, სკოლების დირექტორები, სპეციალური მასწავლებლები, საკრებულოს წევრები, ფსიქოლოგები, საზოგადოების წარმომადგენლები.

დისკუსიის ძირითადი თემები იყო შშმ პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი შშმ პირთა ინტეგრაციის საკითხებში და შშმ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტები.

მარტვილი-სერგიეთის საავტომობილო გზის მშენებლობა დასრულდა

ქალაქ მარტვილის და სერგიეთის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა დასრულდა. პროექტის ფარგლებში დაიგო 1857 მეტრი ასფალტბეტონის საფარი, ასევე მოეწყო გზის გადამკვეთი ლითონის მილები, ლითონის მილები ეზოს შესასვლელებში.

პროექტის ღირებულებამ 652 875 ლარი შეადგინა. სამუშაოზე დასაქმებული იყო 30 ადგილობრივი, მუშაობდა 10 ერთეული ტექნიკა.

მარტვილი-სერგიეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით განხორციელდა.

ჩხოროწყუ – ახალი საავტომობილო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ თაიაში, ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. იგება ასფალტბეტონის საფარი. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1800 000 ლარია.

მიმდინარე სამუშაოები მერმა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ნაფიჩხოვოშიც ჩატარდა. ასფალტირებული გზა ჯამში 7.300 კმ მანძილზე დაიგო.

წალენჯიხის მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. მერმა ისაუბრა მუნიციპალიტეტის გაზიფიცირების პროექტირების მიმდინარეობაზე, მიმდინარე და დასრულებულ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოზე; ასევე — ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის დაავადებათა ადრეული გამოვლინებისთვის საპილოტე პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც აქცენტი დაავადებათა ინტეგრირებული მართვის მოდელის შემუშავებასა და დანერგვაზე გაკეთდება.

ხარაგაული

ზუგდიდი – „ყველაზე სუფთა ქალაქი“

„სუფთა რეგიონში“ — ამ დევიზით გამართული კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა თბილისში. კონკურსი პროექტის — დავასუფთაოთ საქართველო: ფაზა III“ — ფარგლებში ჩატარდა.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: „ყველაზე სუფთა ქალაქი“ — ზუგდიდი; „სუფთა სოფელი“ — სოფელი ორსანტია;

„ლამაზი ეზო“ — ზუგდიდის

ძლიერი საქართველოსთვის

დმანისი

მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმნიდან პაატა გოგელიას და მერაბ ჭკადუას ეზოები, ზუგდიდიდან კახა დარასელიას ეზო;

საქართველოში საუკეთესო დასუფთავების ცენტრის ხელმძღვანელი „ზუგდიდდასუფთავების“ უფროსი ნუგზარ მალაშხიაა.

კონკურსი„ სუფთა რეგიონი“ საქართველოში მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და ის ხუთ ნომინაციაში ჩატარდა. კონკურსის მიზანი იყო ქვეყნის მასშტაბით გამოევლინა ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტი, სოფელი და ლამაზი ეზო. ამ ეტაპისთვის კონკურსი დასრულდა და გამარჯვებულებს პრიზები გადაეცათ.

დაჯილდოებას ესწრებოდნენ: შვედეთის ელჩი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და პარლამენტის წევრები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი და ვიცე-მერი.

კონკურსი შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

ფოთში საფეხბურთო სტადიონი გამალებით შენდება

ფოთში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ ეტაპზე დასავლეთ ტრიბუნაზე ტარდება, ქალაქის მერის მოადგილემ ირაკლი თოფურიამ დაათვალიერა.

პროექტის ღირებულება 1863000 ლარია. იგეგმება: ტრიბუნების მშენებლობა, სტადიონის შიდა და გარე კომუნიკაციებით უზრუნველყოფა, გათბობის, ვენტილაციისა და განათების სისტემების მონტაჟი. გარდა ამისა, მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გასახდელები, საშხაპეები, ლოჟა, ოთახები კომენტატორებისთვის, ავტოსადგომი. მოასფალტდება სტადიონის მისადგომები.

სტადიონი 6000 მაყურებელზეა გათვლილი და იგი ექსპლუატაციაში 2018 წლის მარტში შევა. მშენებლობას კომპანია „ელიტა ბურჯი“ აწარმოებს. სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია 15 ადგილობრივი.

ტრენინგი-შეხვედრა ნინოწმინდაში ნარჩენების მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებით

პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში, ნარჩენების მართვის საკითხებზე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში შეხვედრა-ტრენინგი გაიმართა. საქართველოში ნარჩენების მართვის საკანონმდებლო მოთხოვნების, ნარჩენების მართვის დაგეგმვის, ეკოსისტემებზე სტიქიური ნაგავსაყრელების გავლენისა და ამ კუთხით რეგიონებში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის პერსპექტივებზე გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ნარჩენების მართვის ექსპერტმა ხათუნა ჩიკვილაძემ და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, გარემოს მონიტორინგის ექსპერტმა ნუგზარ ბუაჩიძემ ისაუბრეს.

პროექტის პრეზენტაციას მუნიციპალიტეტის მერი ანივარდ მოსოიანი, მისი მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე სუმბატ კიურეღიანი, საკრებულოს დეპუტატები, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ბოლნისის გამწვანება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურმა ქალაქ ბოლნისში, ლადო ასათიანის ქუჩის მწვანე ზოლზე ორმოები გაამზადა წაბლის ხეების ნერგების დასარგავად.

დმანისი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

დმანისის მუნიციპალიტეტი შეუერთდა 16-დღიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით დმანისის მუნიციპალიტეტში გაიმართა ვიზუალური აგიტაცია გენდერული ძალადობის საკითხებზე დანაშაულის პრევენციის მიზნით, რომელიც დასრულდა მსვლელობით.

ვიზუალური აგიტაცია მიზნად ისახავდა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა უფლებების შესახებ სამოქალაქო კონსოლიდაციის გაძლიერებას.

ღონისძიება ორგანიზებული იყო დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალთა ოთახისა“ და ა(აიპ) საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

ბოლნისი

შუამთის მონასტერში ეროვნული საძმო „შუამთა“ ეკურთხა

თელავში ახალი შუამთის ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერში ეროვნული საძმო „შუამთა“ ეკურთხა.

საძმოს დაარსების ინიციატივა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, დამსახურებულ პედაგოგს, იაკობ გოგებაშვილისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიების ლაურეატს, ქალბატონ ლამარა იანვარაშვილს ეკუთვნის.

საძმოს დაარსება ახალი შუამთის დედათა მონასტრის იღუმენიამ დედა იოანამ (ნიკოლაიშვილი) დალოცა და ღირსშესანიშნავი წამოწყების სამადლობლად ხახულის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის მონაზვნებთან ერთად პარაკლისი გადაიხადა.

საძმოს შექმნა სიმბოლურია.

დედა იოანა მეცნიერულ კვლევებს აწარმოებს საქართველოს ისტორიისა და შუამთის მონასტრის წარსულის შესახებ, რაც იმის წინაპირობას ქმნის, რომ, შესაძლოა, ახალი შუამთის დედათა მონასტერი ეროვნულ-საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცეს მომავალში.

ეროვნული საძმო „შუამთის“ შექმნის ინიციატორმა ქალბატონმა ლამარა იანვარაშვილმა იქ მყოფთ სიტყვით მიმართა:

„გვინდა, დედაქალაქში მოღვაწე ავტორიტეტულ პირებს ახსოვდეთ, რომ აქაც ქართველები ვართ. ზნეობის აღდგენა, ქვეყნის საზოგადოებრივი ცნობიერების დაკნინება ჩვენც გვიკლავს გულს.

ამ მტკივნეულ ეროვნულ პრობლემაზე ფრიად მნიშვნელოვანი სტატიები, პუბლიცისტური წერილები აქვთ გამოქვეყნებული ჩვენს დღევანდელს სტუმრებს.

ბატონებო, სურვილი გვაქვს, აქედან ბანი მოგცეთ. განვიზრახეთ, ბაგრატოვანთა სამკვიდრო ქალაქ თელავში დავაფუძნოთ ეროვნული საძმო-სამეგობრო „შუამთა“.

მართალია, საძმო ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ მისი სამომავლო სამუშაო კონტურები უკვე იკვეთება.

ვიმედოვნებთ, საძმო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მოზარდთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ეროვნული სიამაყის თვითშეგნების გაღრმავებას, წინაპართა და მოყვასისადმი პატივისცემას, დავრდომილთა და უპოვართა თანადგომას, სარწმუნოების ერთგულებას, საოჯახო აღზრდას“. — განაცხადა ქალბატონმა ლამარა იანვარაშვილმა საძმოს დაარსებისადმი მისასალმებელ გამოსვლაში.

ორგანიზაციის დაფუძნებაში მონაწილეობას იღებდნენ „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, ბატონი ვახტანგ ხარჩილავა, „საერთო გაზეთის“ ჟურნალისტები, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია, ლიტერატურათმცოდნე ზაალ ბოტკოველი, თელაველი მწერალი და ჟურნალისტი ოთარ ხუციშვილი, ცნობილი თელაველი ექიმი დავით ლაფაური, გამოჩენილი მეღვინე დიმიტრი გაგუნაშვილი და ქართული საზოგადოების სხვა ღირსეული წარმომადგენლები.

ეროვნული საძმო-სამეგობროს „შუამთის“ დაბადება კიდევ ერთი დასტურია ეროვნული სულის კვლავ არსებობისა ქართველ ერში. გლობალური საფრთხეების მიუხედავად, ეროვნული ძარღვი ისევ აგრძელებს ფეთქვას, რაც იმას ნიშნავს, რომ თელავის შემდეგ ეს სულისკვეთება სხვა რეგიონებშიც ამოხეთქავს და ერთ დიდ ძალად შეიკვრება საქართველოს გადასარჩენად.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ჰოპის ტომის ინდიელებს (არიზონასჩვენი კვლევებით, ქართველების ჩამოყალიბებაში, დაახლოებით 9 ჰაპლოჯგუფი მონაწილეობს და ზოგიერთის დნმ-ში არის სკვითური თუ შუამდინარეთის ხალხების ნიშნები. ერთ საკვირველ ამბავს დავამატებ: ქართული ეთნოსის საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ, ქართველების დნმ სრულიად ხელშეუხებელი და შეურეველია, ქართული ეთნოსი კი დაახლოებით 2000-1500 წლების წინ ჩამოყალიბდა!

დაბეჯითებით ვაცხადებ! ქართველების დნმ-ს არანაირი ყივჩაღის, სპარსელის და მონღოლის სისხლი არ შერევია, არადა, მსოფლიოში შეურეველი გენეტიკის მქონე სხვა ერი არ არის. ჩვენი მეზობელი, სულ „ორი ფეხის ნაბიჯზე“ მცხოვრები აზერბაიჯანელების დნმ-ში არის მონღოლებისა და სპარსელების მინარევები, სომხებში – აისორებისა და შუამდინარეთის სემიტური ხალხებისა, ასე რომ, თავადაც გაკვირვებული ვარ როგორ მოვახერხეთ ქართველებმა დღემდე ასე გვეცხოვრა.

ბაგრატიონების დნმ-თან დაკავშირებით საოცარ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამ უიშვიათესი ჰაპლოჯგუფის მსგავსი თუ მონათესავე, დღევანდელ კაცობრიობაში არ მოიპოვება. მათ, „უახლოეს“ გენეტიკურ ნათესავებთან (ჩეხი, ინდოელი, ინგლისელი) დაახლოებით 5000 წელი აშორებთ.“

მეცნიერები დიდი ხანია სწვლობენ აინების წარსულს, მათ ისტორიას, ენის თავისებურებას; აინტერესებთ, საიდან მოვიდნენ იქ, სადაც არიან, მაგრამ მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ აინები იაპონიის კუნძულების იმ რეგიონი ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის, 42-ე განედზე. მეცნიერებმა ზუსტად ვერ დაადგინეს საიდან მოვიდნენ აინები, მაგრამ ის კი დადასტურებულია, რომ როდესაც იაპონელები გადავიდნენ კუნძულებზე, აინები დიდი ხნის დასახლებულები იყვნენ. მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ აინები იაპონის კუნძულების იმ რეგიონებში ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის, ანუ ჩრდილოეთ განედის 42-ე გრადუსზე – კოლხეთი (საქართველო) იყო (არის) ამ განედზე და გადაადგილებაც ამ განედზე ხდებოდა.

და აი, მივედით ამერიკის კონტინენტთან – მაიას ტომი, აცტეკების და ინკების ტომიც ამ განედზე ხვდებიან. ესპანელი მისიონერები წერდნენ, რომ კონტინენტზე დამხვდურები ახოვანი წვეროსნები იყვნენ, ინდიელებს კი, წვერი არ ამოსდით და ტანადაც არ არიან ახოვანები. მაშასადამე, კონტინენტს განაგებდნენ ვიღაც წვეროსნები, ინდიელები კი მუშახელს წარმოადგენდნენ. დროთა განმავლობაში მოხდა მოხდა „ზანა-ს“ (კოლხური) კლანის გადასვლა ინდიელებში და ბუნებრივია, დღეს მათ გენეტიკაშიც აღმოჩნდა.

მეცნიერები ვერ ხსნიან საიდან გაჩნდა უმაღლესი ცივილიზაციები ამერიკის კონტინენტზე, თუმცა ცნობილია, რომ იქმნებოდა გიგანტური ნაგებობები: ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. გაზეთის ფორმატი ყველაფრის დაწვრილებით ახსნის საშუალებას არ იძლევა, ამდენად, ვისაც არ სურს დაჯერება, ნება მისია – იმ დადასტურებულ ფაქტებს ვერავინ გაექცევა, რომ კოლხები უმაღლეს დონეზე აწარმოებდნენ მეტალურგიულ საქმიანიანობას (რკინა-ფოლადს ადნობდნენ) კანადის ხუთი ტბის რაიონში, 42-ე პარალელზეც...

დღეისათვის, მსოფლიოში უამრავი სენსაციური აღმოჩენაა მეცნიერების ყველა განხრით, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა დაფარულია როგორც „საიდუმლო აღმოჩენის“ კატეგორია. დაფარვის მიზეზი ყველაფერი შეიძლება იყოს, დაწყებული უმთავრესით, რომ მსოფლიო ისტორია აბსოლუტურად გადასაკეთებელია, რადგან მცდარია და გაყალბებული, დამთავრებული იმით, რომ რადგან ახსნა არ შეუძლიათ, მაგრამ გარკვეული ინფორმაციები მაინც ჟონავს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, ცენტრალურ მექსიკაში აღმოაჩინეს შრომის იარაღები რომლის დამზადება მხოლოდ მაღალგანვითარებული ტექნოლოგიებით იყო შესაძლებელი. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ იარაღი 250 000 წლის წინ იყო დამზადებული, იმ დროს კი, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, დედამიწაზე ნეანდერტალელები ცხოვრობდნენ და მათ ასეთი იარაღების დამზადება არ შეეძლოთ.

თავდაპირველად, ეს უნიკალური არტეფაქტები გეოლოგებმა აღმოაჩინეს და არქეოლოგები მიიწვიეს აღმოჩენის შესაფასებლად. არქეოლოგებმა კვლევის ჩატარების შემდეგ უფლება არ მისცეს გეოლოგებს რომ დასკვნა გამოაქვეყნებინათ და თუ მაინც გამოაქვეყნებდნენ მათ მიერ აღმოჩენილი იარაღების ფოტოსურათებს, ასაკი არ უნდა მიეთითებინათ.

1840 წელს საფრანგეთსა და დანიაში, ვულკანურ ქანში აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხის ნაწილები. ქანის შესწავლის შემდეგ დაადგინეს, რომ ქანში განძარხებული ადამიანი 2 მლნ წლის იყო. თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ აღმოჩენილი და თანამედროვე ადამიანის ჩონჩხი იდენტურია.





1897 წლის აპრილში ქალაქ ვებსტერთან (აოივას შტატი) ახლოს, ლეჰიგის ქვანახშირის მაღაროში, ქვანახშირის ფენაში 45 მეტრის სიღრმეზე, აღმოაჩინეს მართკუთხედის ფორმის, მუქი ნაცრისფერი ქვა (0,6X0,3X1,2მ), რომელზეც ამოტვიფრულია ხაზები, რომლებიც იდეალურ რომბს ქმნიან. ყოველი რომბის ცენტრში გამოსახული არის მოხუცი ადამიანის სახე და ყოველ მათგანზე კარგად ჩანს ჩაღრმავება შუბლის არეში. როგორც ექსპერტები ამბობენ, შახტის ამ ნაწილში მიწა საერთოდ არ იყო, ხოლო ქვანახშირის ფენა დარღვეული (აშრეებული) არ ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოჩენილი ქვის ასაკი, დაახლოებით 320-360 მლნ. წელია.

XIX საუკუნეში, ამერიკაში, ოქროს ციებ-ცხელების დროს, კალიფორნიის შტატში, ოქროს მაძიებლებმა კილომეტრობით გვირაბები გათხარეს მთებში და კლდეებში. ოქროსთან ერთად, მაძიებლები დიდი რაოდენობით ადამიანების ჩონჩხებს და შრომის იარაღებს პოულობდნენ. ამ არტეფაქტების კლასიფიკაციას და აღწერას პროფესორი უიტნი აწარმოებდა. იმ დროს, ეს არტეფაქტები ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავარი არქეოლოგიური აღმოჩენები იყო, ამიტომ, პროფესორის ყველა დოკუმენტი შეკრიბეს და 1880 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტში წიგნად გამოსცეს. მიუხედავად ამისა, დღემდე არც ერთ მუზეუმში არ მომხდარა ამ აღმოჩენების დემონსტრირება. აღნიშნული არტეფაქტები არც თანამედროვე წიგნებსა და კატალოგებში არ არის შეტანილი. რატომ?

XX საუკუნის 50-იან წლებში, არქეოლოგმა ჯორჯ კარტერმა ძველი ამერიკელების დასახლება აღმოაჩინა სან-დიეგოს მახლობლად. იქ მან უამრავი ნივთი იპოვა ქანებში რომელთა ასაკი 80-90 ათასი წლით განისაზღვრებოდა, რაც ბევრად აღემატებოდა ამერიკის კონტინენტზე ადამიანის გამოჩენის ოფიციალურად აღიარებულ პერიოდს – 35-30 ათას წელს. მეცნიერები, რომლებიც ამ უკანასკნელ ვერსიას იზიარებდნენ, მას დასცინოდნენ და მის აღმოჩენებს არასერიოზულად მიიჩნევდნენ. კარტერმა უფრო საფუძვლიანი გათხრები წამოიწყო იმავე ადგილზე და ასზე მეტი მეცნიერი მიიწვია აღმოჩენილი არტეფაქტების შესაწავლად, მათ შორის ძალიან ცნობილი და სახელოვანი მეცნიერებიც, მაგრამ ყველამ უარი თქვა ექსპედიციაში მონაწილეობაზე. ადვილი მისახვედრია რატომაც – იცოდნენ, რით დასრულდებოდა მათი კარიერისთვის დარვინიზმის საწინააღმდეგო კონცეფციისთვის თუნდაც ირიბი მხარდაჭერა...

კალიფორნიაში, მთაში 1966 წელს აღმოაჩინეს ადამიანის თავის ქალა რომელიც თანამედროვე ადამიანის თავის ქალისგან არაფრით განსხვავდებოდა, თუმცა ქანის ასაკი 50 მლნ წლის იყო. როგორც-კი ეს ფაქტი გახმაურდა, ყველამ, ვისაც შეხება ჰქონდა ამ აღმოჩენასთან, უარი თქვა კომენტარზე.

მორიგი აკრძალული აღმოჩენა 1983 წელს თურქმენეთში დაფიქსირდა. იქ ქვა იპოვეს, რომელზეც ერთდროულად ადამიანის ფეხისა და დინოზავრის სამთითიანი თათი იყო აღბეჭდილი. თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ამანიაზოვმა განაცხადა, რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს ადამიანებისა და დინოზავრების ერთდროულად ცხოვრების შესახებ...

უამრავი აღმოჩენაა მაღაროელების მიერ აფრიკის კონტინენტზე, რომელიც „აკრძალული არქეოლოგიის“ კატეგორიაშია მოხვედრილი. ნაპოვნია 2 ტიპის მეტალისგან დამზადებული 100-ზე მეტი სფერო, ცისფერი მეტალის სფეროები თეთრი ლაქებით და თეთრი სფეროები ფოროვანი სტრუქტურით. ამ აღმოჩენას დიდხანს მალავდნენ, მაგრამ 1977 წელს ამ არტეფაქტების შესახებ ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. 1979 წელს დაინიშნა ექსპერტიზა სფეროების შესწავლის მიზნით და დაადგინეს, რომ ქანები, რომელშიც აღნიშნული სფეროები იპოვეს 2 მლრდ 800 მლნ წლის იყო. იმ პერიოდზეა საუბარი, რომელზეც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დედამიწაზე უმარტივესი ორგანიზმებიც არ იყო, არათუ სფეროს შემქნელი გონიერი არსებები. ასევე, მეცნიერების მტკიცებით, სფეროები ბუნებრივი წარმონაქმნებია და ისეთი მინერალებისგან არის შექმნილი რომლებიც ადვილად იფიტებიან, ძირითადად ლიმონიტი და პირიტისგან.

შეგვიძლია დაუსრულებლად ჩამოვთვალოთ მსგავსი აღმოჩენები და ფაქტები იმ მეცნიერების დევნის შესახებ, რომლებმაც სიმართლის თქმა გადაწყვიტეს. „აკრძალული არქეოლოგიური აღმოჩენები“ რამდენჯერმე აღემატება იმ აღმოჩენებს, რომლებზე დაყრდნობითაც დარვინიზმის თეორია შეიქმნა, მაგრამ მეცნიერები მზად არ არიან სამეცნიერო „რევოლუციისთვის“, საინტერესოა, რატომ? როდემდე უნდა იყოს კაცობრიობა გაყალბებულ ისტორიაში? რა ჰქვია იმ წრეს, რომელსაც სასტიკად „არ აწყობს“ სრული სიმართლის გახსნა?

სიტყვამ მოიტანა და ისევ უნდა ვახსენოთ „არგონავტები“, რომელთა შესახებ უკვე ვისაუბრეთ მოკლედ, თუმცა ეს ფრაგმენტი არ გვიხსენებია.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროები: აპოლონიოს როდოსელისა (ძვ.წ III ს) და ვალერიუს ფლაკუსის (I ს) „არგონავტიკები, ფსევდო-ჰიგინუსისა და ფსევდოაპოლოდოროსის, ჰესიხიუსის თხზულებები საკმაოდ დაწვრილებით აღწერენ ამ ძველბერძნულ ეპიკურ ისტორიას, მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა, ჩვენ ვხედავთ მოვლენებს ისე, როგორც ეს ბერძნებს სურდათ და მათ წარმოდგენაში იყო – იაზონი დიდებული გმირია, რომელიც სხვა ბერძენ გმირებთან (სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები – არ დაგვავიწყდეს ეს სიყალბე) ერთად მიეშურება კოლხეთში ძალზე საშიშ მოგზაურობაში „ოქროს საწმისის“ მოსაპოვებლად და კოლხეთის მეფის ასულ მედეასთან ერთად ბრუნდება სამშობლოში. Aამ ისტორიას გვთავაზობენ აღნიშნული წყაროები, მაგრამ ევროპის არქივებსა და ბიბლიოთეკებში ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგად, განსაკუთრებით იმ მხარეებში, სადაც ლოგიკურად არ მივყავართ „ოქროს საწმისის“ ისტორიას, ბევრი საინტერესო ცნობა აღმოჩნდა. (განსაკუთრებული მადლობა ისლანდიის ეროვნულ მუზეუმსა და ბიბლიოთეკას და ამ სამეცნიერო კერის დირექტორს, ბატონ ბენედიქტე მაგნუსონს, რომელიც უანგაროდ ეხმარებოდა მკვლევართა ჯგუფს და სწორედ მისი დახმარებით მოხერხდა ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტზე „სვანჰილდის საგაზე“ წვდომა)

„სვანჰილდის საგა“, ეს არის ყველაზე მონუმენტური სკანდინავიური საგა რომელიც კი დღემდე შემორჩენილა. ის დაწერილია ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, მაგრამ სამწუხაროდ, პირველადი ხელნაწერი შემორჩენილი არ არის გარდა ცალკეული აბზაცებისა, რომლებიც რუნების ქვებზეა ამოკაწრული.

ისლანდიის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი, აქ ნორვეგიიდან მოხვდა XIII საუკუნეში, როდესაც ცნობილი პოეტი და ისტორიკოსი სნორი სტურლუსონი, ხომალდ „ოდინის ამოთხრილი თვალით“ გაემგზავრა ისლანდიაში და თან წაიღო ხელნაწერთა ნაწილი. ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერი სწორედ XIII საუკუნით თარიღდება და დიდი ალბათობით ის სნორი სტურლუსონმა გადაწერა ძველი ხელნაწერებიდან.

რასაკვირველია, წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ძველი ტექსტების გადამწერების მიერ შეცვლილი ცალკეული სიტყვები თუ აბზაცები, მაგრამ ნორვეგიაში მოგზაურობისას, სადაც გიდობას ოსლოს უნივერსიტეტის პტოფესორი ჩაბდრაგუპტა მანდერე გვიწევდა, შევადარეთ ტექსტის ნაწილები ოსტფოლდისა და ფინმარკის მხარეების რუნულ ქვებზე ამოკაწრულ აბზაცებს და ისინი ფაქტობრივად იდენტური აღმოჩნდა, რამაც იმედი მოგვცა დანარჩენი ტექსტის ორიგინალთან სიახლოვეში და ამაში მალე დავრწმუნდით.

(გაგრძელება იქნება)

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

სამთვიანი შესვენების შემდეგ ჩრდილოეთ კორეამ კვლავ შეახსენა თავი მსოფლიოს. ქვეყანაში კვლავ გამოსაცადეს ბალისტიკური რაკეტა, რომელმაც მეზობელ ქვეყნებს — იაპონიას და სამხრეთელ თანამოძმეებს ახალი თავსატეხი გაუჩინა. გულგრილი არც ამერიკის შეერთებული შტატები დაუტოვებია — ახალი ტიპის რაკეტა თავისი ტექნიკური მონაცემებით ნიუ-იორკსაც კი მისწვდება. იარაღმა ჩრდილოეთ კორეაში მოსახლეობის ტრადიციული აღფრთოვანება გამოიწვია, სამაგიეროდ, აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი განარისხა. მართალია, ცნობას ახალი რაკეტის გამოცდის შესახებ თავდაპირველად თავდაჭერილად და მშვიდად შეხვდა, მაგრამ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩინ ინს „ბინძური ლეკვი“ უწოდა.

აშშ-ი ჩინეთის პასიურობით უკმაყოფილოა და მოუწოდებს, აქტიურად ჩაებას კორეის პრობლემის მოგვარებაში. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ვითარება საკმაოდ გამწვავდა. მათი განცხადებით, ჩრდილოელებზე ეკონომიკური სანქციები არ მოქმედებს და, საერთოდაც, არაეფექტურია. ექსპერტებს აშინებთ ის გარემოებაც, რომ ტრამპმა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, მოულოდნელად არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღოს, რაც რეგიონისთვის დამღუპველი იქნება. თუმცა, როგორც კულუარულად გავრცელდა ჭორი, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ აშშ-ის კონგრესმენებს შორის იყო საუბარი, რომ თუ ტრამპის იმპიჩმენტს ვერ შეძლებდნენ, ბირთვული იარაღის გამოყენების უფლება მაინც ჩამოართვან. ამას დაერთო პენტაგონის გენშტაბის უფროსის განცხადება. როგორც ამბობენ, იგი უარს იტყვის დანაშაულებრივი (ანუ ბირთვული

იარაღის) ბრძანების შესრულებაზეო.

სამხრეთ კორეა და იაპონია რთულ სიტუაციაში არიან, რადგან, თუ ვინმეს არ აწყობს რეგიონში საომარი ვითარება, სწორედ ეს ქვეყნებია. სამხრეთის დედაქალაქი სეული პირობითი საზღვრიდან 20 კილომეტრშია. ექსპერტების განცხადებით, ჩრდილოელებს ბალისტიკური რაკეტების გამოყენება არც დასჭირდებათ, ჩვეულებრივი საარტილერიო დანადგარებით შეუძლიათ თავისუფლად მისწვდნენ. რამდენად შეძლებს აშშ სამხრეთელების დაცვას, უცნობია. გასათვალისწინებელია სამხრეთში არსებული ატომური ელექტროსადგურები, რომელთა დაზიანების შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი კატასტროფაა მოსალოდნელი.

ჩინეთი და რუსეთი მოუწოდებდნენ აშშ-სა და სამხრეთ კორეას, არ ჩაეტარებინათ ერთობლივი სამხედრო წვრთნები რეგიონში. თუმცა, მათი აზრი არ გაითვალისწინეს და უკვე მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი წვრთნები, რაც ჩრდილოელებისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორია. იაპონია და სამხრეთ კორეა ჩრდილოელებთან დათმობაზე ვერ წავლენ, რადგან აშშ-ის რისხვას

დაიმსახურებენ. რეგიონში კი მომავლის შიშმა და გაურკვევლობამ დაისადგურა. სამხრეთ კორეის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე ორი თვეა დარჩენილი...

ამასობაში კი აშშ-ი კვლავ ეძებენ ტრამპის რუსეთთან გარიგების კვალს. მისი ყოფილი მრჩევლის — ფლინის დაკითხვამ, რომელმაც გამოძიებასთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა, დიდი რეზონანსი გამოიწვია. მისი განცხადებით, არანაირი შეთქმულება რუსეთთან არ ყოფილა. ტრამპის განცხადებით, ფლინის სატელეფონო საუბარი რუსეთის ყოფილ ელჩთან კისლიაკოვთან კანონიერი

იყო. თანამდებობიდან მისი გათავისუფლების მიზეზი ის ყოფილა, რომ ფლინმა თავიდანვე არ თქვა სიმართლე. „მას დასამალი არაფერი ჰქონდაო“, — განაცხადა ტრამპმა. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ფლინზე ზეწოლა გაგრძელდება და ტრამპის მოწინააღმდეგეები ეცდებიან, როგორმე გამოსძალონ მათთვის სასურველი ჩვენება სამომავლოდ კი ვითარების კიდევ უფრო გამძაფრებას ელოდებიან.

გასულ კვირას აშშ-ის სენატმა დაამტკიცა ტრამპის მიერ წარდგენილი საგადასახადო რეფორმის კანონპროექტი. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ორი ხმის უპირატესობით მიიღეს კანონი. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე არ ყოფილა სენატში ასეთი ხანგრძლივი და მძაფრი დებატები. კანონპროექტს დემოკრატები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, არც რესპუბლიკელებში იყო ერთსულოვნება, მაგრამ ორმა ხმამ გადაწყვიტა კანონის ბედი. დემოკრატები მიიჩნევენ, რომ კანონი მდიდრების სასარგებლო იქნება, შემცირდება სოციალური პროგრამების დაფინანსება და, რაც მთავარია, ბიუჯეტში 1,5 ტრილიონი დოლარი იქნება დეფიციტი. აქვე აღსანიშნავია, რომ ამერიკელი მსხვილი ბიზნესმენები, მიუხედავად სანქციებისა, რუსეთის ბაზრის დატოვებას არ აპირებენ, საკმაოდ მომგებიანიაო, აცხადებენ.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში კიდევ ერთი ცვლილებაა მოსალოდნელი. შესაძლოა, დონალდ ტრამპმა იერუსალიმი აღიაროს ისრაელის დედაქალაქად და საელჩო ამ უძველეს ქალაქში გადაიტანოს. პალესტინელები ამას სასტიკად ეწინააღმდეგებიან, მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ საელჩოს იერუსალიმში გადატანამ, შესაძლოა, რეგიონში სიტუაცია გაამძაფროს. საელჩოს გადატანას არც თავად სახელმწიფო დეპარტამენტი და სხვა სამთავრობო სტრუქტურები ემხრობიან. მათი განცხადებით, დიპლომატების და სხვა თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა გაძნელდება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თელ-ავივში არსებული საელჩოს შენობა მრავალ ფუნქციას ითავსებს, მათ შორის, დაზვერვისას.

გავრცელებული ჭორებით, შესაძლოა, თანამდებობა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა დატოვოს. როგორც აშშ-ი ამბობენ, ახალ წლამდე თუ არა, შემდეგ წავა

თანამდებობიდანო. ამას უარყოფს ტრამპი, მაგრამ ამ თემაზე საუბარი, უკვე ორი თვეა, მიმდინარეობს. მის ადგილზე ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორი პომპეო განიხილება. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს, პრესაში გავრცელებული ინფორმაცია ჭორი გამოდგება თუ სინამდვილე. საერთოდაც, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, უცნაური მოვლენა აფრიკის ქვეყანაში, კოტ-დივუარში განვითარდა, რომელიც ევროპა-აფრიკის ქვეყნების კავშირის სამიტს მასპინძლობდა. შეხვედრაზე განიხილებოდა ლიბიაში არსებული მონათვაჭრობის საკითხი. დიახ, 21-ე საუკუნეში არსებული ადამიანებით ვაჭრობის შესახებ ფრანგი ტელეჟურნალისტების სიუჟეტით გახდა ცნობილი, ევროპაში გადასვლის მსურველები ლიბიაში იყრიდნენ თავს. ამით სარგებლობენ ადგილობრივი კრიმინალები, ატყვევებენ მიგრანტებს და სხვადასხვა ქვეყნების პლანტატორებს. თუ სხვა მეწარმეებს ასყიდებენ, განურჩევლად, ქალია თუ კაცი. ერთი მონის ფასი თურმე 300–500 აშშ დოლარია.

საინტერესოა, რომ ევროკავშირის ქვეყნები ლიბიელებს კოლოსალურ თანხებს უხდიან, რათა როგორმე შეაჩერონ ევროპისკენ მიმავალი მიგრანტები. სამიტზე ევროპელები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. არავის გახსენებია, რომ შუა საუკუნეების გადმონაშთი, თითქმის დავიწყებული მონებით ვაჭრობა ქვეყანაში 2011 წელს მომხდარ ე.წ. ფერადი რევოლუციის შედეგია. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ „ევროპა რა შუაშია, როდესაც თავად აფრიკელები ვაჭრობენ აფრიკელებით“-ო. საინტერესოა, კიდევ რომელ უმსგავსობას გადმოიღებს კაცობრიობა შორეული წარსულიდან.

საგანგაშო შემთხვევა მოხდა ჰაგის ტრიბუნალზე. ყოფილ იუგოსლავიის გენერალს სლობოდან პროლიაკს საერთაშორისო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ ტუსაღმა მოსამართლეს მიმართა: „...არ ვცნობ თქვენს ვერდიქტს და არც ვეთანხმებიო“ და ფლაკონიდან რაღაც დალია. როგორც შემდეგ გაირკვა, გენერალმა თურმე ძლიერმოქმედი საწამლავი დალია. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. სერბი გენერლის ქმედება მისმა ყოფილმა მოწინააღმდეგემ ხორვატმა ოფიცერმა გმირულ საქციელად შეაფასა. საგანგაშოა და აქვე საკითხავია, თუ ვინ და როგორ მიაწოდა მსოფლიოში ერთ-ერთ დაცულ ციხეში ძლიერმოქმედი საწამლავი პატიმარს. თუმცა აქვე გასახსენებელია, რომ 2006 წელს ამავე ციხეში საეჭვო ვითარებაში (ამას ადასტურებენ ევროპელი ექსპერტები) განაჩენის გამოტანამდე გარდაიცვალა პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი.

გია ბურდული
551 71 27 07

როდის შეიძლება ნამალი საანამლავად იქცეს?

SOS! მწევველებო, არ მიიღოთ A და E ვიტამინი, ეს თქვენი ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია!

სინთეზური C ვიტამინი კიბოს განვითარებას უწყობს ხელს!

ვაგრძელებთ საუბარს პროფესორ რამაზ გახოკიძესთან საკვებისა და მედიკამენტების შეუთავსებლობაზე. ბატონი რამაზი, ასევე, მოგვაწვდის ინფორმაციას რა საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისთვის სინთეზური ვიტამინები:

შარდმდენ პრეპარატებს ორგანიზმიდან გამოაქვს კალიუმი, ამიტომ მისი მარაგის შესავსებად საჭიროა მწვანე ბარდის, მჟაუნის, ისპანახის, ჭარხლის, თავიანი ხახვის, კარტოფილის, სტაფილოს, კურაგას და ვაშლის მიღება. შარდმდენი პრეპარატები შეუთავსებელია ძირტკბილასთან, რადგან იგი ხელს უწყობს ორგანიზმიდან სითხისა და კალიუმის გაძლიერებულად გამოდევნას, რაც შეიძლება გაუწყლოების და კუნთების დაშლის მიზეზი გახდეს. ერიდეთ ყავას, ჩაის, კაკაოს, შოკოლადს, მარილიან და სანელებლებიან კერძებს, შებოლილ ძეხვებს და ალკოჰოლს, განსაკუთრებით, ლუდს. არ იკრძალება ყურძნის, კიტრის, სტაფილოს წვენები, ბოლოკი, ოხრახუში.

ჰორმონული პრეპარატები გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე. ამიტომ, გართულების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხაჭოს და რძის სხვა პროდუქტების ასევე, თევზის, კურაგას, ქიშმიშის, კენკრისა და გოგრის მიღება. ამ პროდუქტებში შედის ბევრი ცილა, ვიტამინები და კალიუმის მარილები.

ვირუსსაწინააღმდეგო და რკინის შემცველ პრეპარატებზე არ შეიძლება რძის დაყოლება, რადგან იგი აფერხებს მათ კუჭში შეწოვას. რკინის შემცველი სამკურნალო პრეპარატების მიღების პერიოდში ასევე უარი თქვით ყავაზე, ჩაიზე, ცომეულზე, ტკბილეულსა და ნიგოზზე.

ფსიკოფარმაკოლოგიური ზოგიერთი პრეპარატის მიღება არ შეიძლება თირამინის შემცველ პროდუქტებთან ერთად. ეს პროდუქტებია: ავოკადო, ბანანი, პარკოსნები, ქიშმიში, ყავა, საქონლის ხორცი, ქათმის ღვიძლი, ორაგული, შებოლილი ქაშაყი, ყველი, ლუდი, წითელი ღვინო, შოკოლადი. ასეთმა პროდუქტებმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ფერმენტ მონოამინოქსიდაზის ინჰიბიტორების ფუნქციურ ეფექტიანობაზე. მათი დიდი რაოდენობით მიღება იწვევს არტერიული წნევის მკვეთრ გაზრდას. თირამინი ასევე, ნეგატიურად მოქმედებს ზოგიერთი ანტიბაქტერიული სამკურნალო პრეპარატის აბსორბციაზე.

ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების (პირამიდონი, ამიდოპირინი და სხვა) შეთავსება არ არის რეკომენდებული შაშხეულთან, რადგან იგი აბათილებს წამლის სასარგებლო თვისებებს. ერიდეთ ცხარე და სანელებლიან კერძებს, ალკოჰოლს, თევზეულს.

რევმატიზმის საწინააღმდეგო პრეპარატები აგრესიულად მოქმედებს კუჭნაწლავის ლორწოვან გარსზე. მათი მიღებისას უარი თქვით ხილსა და ბოსტნეულზე, შემწვარ კერძებსა და სოკოზე, ხორცის და თევზის ბულიონებზე.

სასაქმებელ საშუალებებთან ერთად ერიდეთ სხვა წამლების მიღებას. არ მიიღოთ მაგარი ჩაი, შოკოლადი, მსხალი, ყველი, რომელთაც შეუძლია საპირისპირო ეფექტის გამოწვევა. არ იკრძალება ისპანახი, რომელიც შეიცავს საპონინებს, რომლებიც აძლიერებს ნაწლავთა პერისტალტიკას. ასევე, არ იკრძალება ჭარხალი, ყაბაყი, ტკბილი ქლიავი, კიტრი.

ფრთხილად! – ცხიმოვანი საკვები წამლის მოქმედებას ასუსტებს?

რძე და რძის პროდუქტები კალციუმის წყაროა. მათი მიღება ამაგრებს ძვლებს და აუმჯობესებს ნერვული სისტემის ფუნქციონირებას. მაგრამ ასეთ პროდუქტებთან განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, როცა მკურნალობთ ქინოლინის ან ტეტრაციკლინის რიგის ანტიბაქტერიული პრეპარატებით (ლევოფლოქსაცინი, ნორფლოქსაცინი, ოფლოქსაცინი, ციპროფლოქსაცინი, დოქსიციკლინი, მონოციკლინი, ტეტრაციკლინი). ძროხის რძეში შეიძლება აღმოჩნდეს ზრდის ჰორმონები და ანტიბიოტიკები, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებს ტესტოსტერონის, ესტროგენის და პროგესტერონის ბუნებრივ გამომუშავებაზე. ცხიმოვანი საკვები ასუსტებს მრავალი წამლის მოქმედებას. ნახშირწყლოვანი პროდუქტები თითქმის ორჯერ ამცირებს ისეთი პრეპარატების კონცენტრაციას, როგორებიცაა ტეტრაციკლინი, ამპიცილინი, D ვიტამინი.

პროდუქტები რომლებიც დიდი ოდენობით შეიცავს უჯრედისს, მაგალითად, ბოსტნეული, ხილი, ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლოა. უჯრედისი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გულის დაავადებების და დიაბეტის რისკის შემცირებაში, მაგრამ რადგან უჯრედისი აფერხებს საჭმლის მონელების პროცესს, მნიშვნელოვნად ფერხდება სისხლში სამკურნალო პრეპარატების შეწოვა. ამის შედეგად სუსტდება დაავადებაზე პრეპარატების ზემოქმედების ეფექტი.

ნიორი – თრომბების წარმოქმნის რისკი?!

K ვიტამინი მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს სისხლის შედედების პროცესში, მაგრამ იმ პირებმა, რომლებიც სისხლის გამათხელებელი პრეპარატებით მკურნალობენ, მაგალითად, ვარფარინით, უარი უნდა თქვან შემდეგ პროდუქტებზე: სალათა, კომბოსტო, ბროკოლი, ისპანახი, მწვანილი, ნიორი, ჭინჭარი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ნიორი მეტისმეტად ასქელებს სისხლს, რის გამოც

რამდენჯერმე იზრდება თრომბების წარმოქმნის რისკი.

რომელი პოპულარული პროდუქტის მიღება არ არის რეკომენდებული არცერთ მედიკამენტთან?

კოფეინის შემცველი პროდუქტების — ყავა, ჩაი, კომბინირება არ შეიძლება სხვადასხვა აღმგზნებ საშუალებებთან ერთად. არ არის რეკომენდებული ყავის შეთავსება ორალურ კონტრაცეპტივებთან, ასევე, სედაციურ საშუალებებთან, რადგან ამ შემთხვევაში მან შეიძლება ზედმეტი აღგზნება და უძილობა გამოიწვიოს. რაც შეეხება ჩაის იგი უნდა შეიზღუდოს ნებისმიერი სამკურნალო პრეპარატის მიღებისას.

— ბატონო რამაზ, კვების მნიშვნელობაზე საუბრისას თქვენ აღნიშნეთ, რომ საკვები ორგანიზმისთვის აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს, განსაკუთრებით, ვიტამინებს უნდა შეიცავდეს. თუმცა, ადამიანების დიდი ნაწილი უზომოდ მოიხმარს ვიტამინებს, რომელთა შესახებ მხოლოდ კარგი გვსმენია. რამდენად უსაფრთხოა ისინი ადამიანის ჯანმრთელობისთვის?

— დიახ, ჩვენ ვიტამინებს უკონტროლოდ, დიდი რაოდენობით ვიღებთ, რადგან ჩაგვაგონეს, რომ ვიტამინები სასარგებლოა და რაც უფრო მეტს მივიღებთ, მით უკეთესი. ეს ასეც არის, თუ საქმე ნატურალურ, ბუნებრივ საკვებში შემავალ ვიტამინებს ეხება. სინთეზური ვიტამინები კი ჯანმრთელობისთვის საშიშია. ისინი ხშირად ტოქსიკურ რეაქციებს იწვევენ და მათი დიდი რაოდენობით მიღებამ შეიძლება ონკოლოგიური და შარდკენჭოვანი დაავადებები გამოიწვიოს. ამ დროს ნატურალური ვიტამინები არავითარ თანამდევ რეაქციას არ ამჟღავნებს. უნდა გითხრათ, რომ ვიტამინები ჩვენს ორგანიზმში არ წარმოიქმნება, გამონაკლისია მხოლოდ D ვიტამინი. ამის გამო, ისინი, კვების შეუცვლელ ფაქტორს წარმოადგენენ, აუცილებელია მათი საკვებთან ერთად მიღება. სინთეზური ვიტამინებით გატაცებამ შეიძლება ნაადრევი სიკვდილის რისკი გაზარდოს. ადამიანები რომლებიც ანტიოქსიდანტების კომპლექსებს იღებენ, სინამდვილეში ორგანიზმს ხელს უშლიან დაცვის ბუნებრივი ფუნქცია ჩართოს, რის გამოც ნაადრევი სიკვდილის რისკი 16%-მდე იზრდება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, გვერდითი მოქმედება მხოლოდ სინთეზურ კომპლექსებს ახასიათებთ და არა ბუნებრივ — ცოცხალი ბოსტნეულითა თუ ხილით მიღებულ ვიტამინებს. პოლივიტამინების აბები არათუ გვიცავს დაავადებებისგან, არამედ ზრდის ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკს. მაგალითად, ბეტა-კაროტინი A ვიტამინთან ერთად სიკვდილიანობას 30%-ით ზრდის, ხოლო E ვიტამინთან ერთად — 10%-ით. A ვიტამინის გაზრდილი დოზის გამოყენება განსაკუთრებით საშიშია ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის, რადგან ისინი სიმსივნური უჯრედების გამრავლების სიჩქარეს ზრდიან. კიბოს პროფილაქტიკა ახალი ხილით და ბოსტნეულით უფრო ეფექტურია, ვიდრე მსგავსი ნივთიერებების მიღება სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების სახით.

სინთეზურ ვიტამინებზე ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობას ათასამდე მწეველი იღებდა, შედეგი ასეთი იყო: მწეველთა ჯგუფში, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად იღებდა A ვიტამინს, ფილტვის კიბოს დაავადებათა რაოდენობა საშუალო მაჩვენებელზე მაღალი აღმოჩნდა, ხოლო იმ ჯგუფში, რომელიც E ვიტამინს მოიხმარდა ინსულტების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა. ვიტამინების მწარმოებლები ამ შედეგებს უარყოფენ, თუმცა, ფაქტი სახეზეა. მწეველებმა არ უნდა მიიღონ A და E ვიტამინები, რადგან მათ ფილტვების კიბოსა და გულსისხლძარღვთა დაავადებების გამოწვევა შეუძლიათ. სინთეზური A ვიტამინის გამოყენებამ ორსულობის ადრეულ სტადიებზე შეიძლება ახალშობილთა დეფექტები გამოიწვიოს, რაც არ ვრცელდება ბუნებრივ პროდუქტებში (სტაფილო, ღვიძლი, კვერცხი, კარაქი და ა.შ.) შემავალ

A ვიტამინის ბუნებრივ ფორმებზე, მაგალითად, ბეტა-კაროტინზე, რომლისგანაც ორგანიზმში A ვიტამინი წარმოიქმნება. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი წარმოშობის A ვიტამინი ხელს უწყობს მხედველობის შენარჩუნებას, არეგულირებს დნმ-ის სინთეზს, იცავს უჯრედებს თავისუფალი რადიკალებისგან. სინთეზური A ვიტამინი კი პირიქით, 8%-ით ზრდის გულის შეტევებს და ფილტვების კიბოს განვითარებას. სინთეზური A ვიტამინის ჭარბი რაოდენობა სიმსივნის წარმოქმნის პროვოცირებას იწვევს, რასაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ადასტურებს. თუ მიირთმევთ კვირაში 1–2 კვერცხის გულს, ულუფა ღვიძლს, დროგამოშვებით ბუტერბროდს კარაქით და წითელი თევზით, მაშინ A ვიტამინის დამატებით მიღება არ დაგჭირდებათ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სინთეზური და ბუნებრივი A ვიტამინი სრულიად განსხვავდება. აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე წლის წინ ამერიკაში, მასაჩუსეტსის შტატში ადამიანები მოიწამლნენ რძეში მომატებული D ვიტამინის რაოდენობის შემცველობის გამო. ერთი ადამიანი გარდაიცვალა. მწარმოებლებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ სინთეზური D ვიტამინის დიდი დოზა მაღალტოქსიკურია.

– ბატონო რამაზ, უბრალო გაცივების დროსაც კი მოსახლეობა ორგანიზმის გასაჯანსაღებლად მაშინვე C ვიტამინის მიღებას იწყებს. მართლაც ასეთი უებარია ეს ვიტამინი?

– მოგახსენებთ. ბოლო დრომდე C ვიტამინს უკეთდებოდა რეკლამა როგორც ონკოდაავადებათა მკურნალობის და პროფილაქტიკის საშუალებას, თუმცა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სინთეზური C ვიტამინის დიდი რაოდენობით მიღება, პირიქით, კიბოს განვითარებას უწყობს ხელს. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული ვიტამინი გენოტოქსინებს წარმოქმნის, რომლებიც დნმ-ს აზიანებს.

მრავალწლიანმა კლინიკურმა გამოცდებმა აჩვენა, რომ C ვიტამინის დიდი დოზა ორგანიზმს არ იცავს არც გაცივებისგან და არც კიბოსგან (პოლინგი და მისი მეუღლე ყოველდღიურად 10–10 გრამ C ვიტამინს იღებდნენ. მიუხედავად ამისა, ორივენი ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალნენ). ფინელმა ექიმებმა 11350 მოხალისეზე ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელთაგან ნახევარი ყოველდღიურად 200 მილიგრამ C ვიტამინს იღებდა. არავითარი განსხვავება გაცივებისა და გრიპის სიხშირეში, იმ პირებს შორის, რომლებიც იღებდნენ ან არ იღებდნენ ვიტამინს, არ აღმოჩნდა. აქვე გეტყვით, რომ C ვიტამინის დიდი დოზა იწვევს სისხლნაკლებობას, დეპრესიას, კუჭის მოქმედების დარღვევას, ათეროსკლეროზის განვითარებას.

– რაც შეეხება პოლივიტამინებს, რასაც ხშირად უნიშნავენ ადამიანებს, ისინი რამდენად უსაფრთხოა?

– გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პოლივიტამინების მიღებამ არა მარტო შეამცირა, არამედ გაზარდა კიდეც ონკოლოგიურ სიმსივნეთა წარმოშობის რისკი. ვიტამინური კომპლექსები კიდევ ერთ საშიშროებას შეიცავს. ზოგიერთი ვიტამინი და მინერალური ნივთიერება ერთმანეთს აძლიერებს. მაგალითად, C ვიტამინი და სპილენძი. სხვა კომპონენტებს, პირიქით, როგორც ანტაგონისტებს შეუძლია ერთმანეთს ხელი შეუშალოს. ცნობილია, ანტაგონიზმი C და B12 ვიტამინებს, კალციუმსა და თუთიას შორის. არ არის სასურველი B1 და B12 ვიტამინების ერთდროულად მიღება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პოლივიტამინებში შემავალი კომპონენტების ბალანსი.

მაღალი ტოქსიურობა ახასიათებს B1, B9, B12 ვიტამინებს. თვლიან, რომ ეს ვიტამინები ხელს უწყობს ინსულტისა და ინფარქტის თავიდან აცილებას, თუმცა ზოგიერთი ექსპერტის აზრით, B ჯგუფის ვიტამინებს, პირიქით, რიგ შემთხვევაში, ზიანის მიყენება შეუძლიათ. B ჯგუფის ვიტამინების სამკურნალო თვისებები ეყრდნობა შემდეგ მოსაზრებებს: ისინი დაბლა წევენ სისხლში ჰომოცისტინის დონეს, რითაც გულის დაავადებათა განვითარების რისკი მცირდება. კარდიოლოგთა ბოლო დროის გამოკვლევების თანახმად, B ჯგუფის ვიტამინებს არ ახასიათებს მოსალოდნელი ეფექტი და არ უწყობს ხელს გულის დაავადებათა განვითარების თავიდან აცილებას. 5 ათასზე მეტ ინფარქტგადატანილ პაციენტზე ჩატარებულმა დაკვირვებამ, რომელთაც 3 წლის განმავლობაში B6 და B9 ვიტამინებს აძლევდნენ, აჩვენა, რომ განმეორებითი ინფარქტის ან ინსულტის რისკი არ შემცირებულა იმ პაციენტებთან შედარებით, რომლებიც ამ პრეპარატებს არ იღებდნენ. უფრო მეტიც, პაციენტთა იმ ჯგუფში, რომელსაც ყოველდღიურად აძლევდნენ B6 და B9 ვიტამინებს, სისხლში ჰომოცისტინის დონე 30%-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, განმეორებითი ინფარქტის ან ინსულტის რისკი 20%-ით გაიზარდა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დიდი თურქეთი და დიდ თურქეთზე დიდი პატარა საქართველო

თბილისიდან სტამბულამდე და უკან „თურქიშ აირლაინსის“ „პეგასუსის“ თვითმფრინავით ვიმგზავრეთ, რომლის ფრთებზე ბერძნული მითოლოგიის ზღაპრული ფრთოსანი ცხენია გამოსახული. უამრავი რამის ჩამოთვლა შეიძლება. ამ სახელმწიფოს, ხალხს, ერს თავისი, საკუთარი არ აქვს, მაგრამ სხვისას იფერებს, იშნოვებს და მეტიც, მსოფლიოს წინაშე თავს მაღლა წევს, შრომობს, აშენებს და არავისზე ნაკლებად არ მიაჩნია თავისი სახელმწიფო...

თურქმა შესანიშნავად იცის საკუთარი თავის ფასი. იცის, რომ ის არ არის ძველი, დიდებული კულტურის შემოქმედი. თვითონვე აღიარებს, რომ არ ცხოვრობს საკუთარ მიწაზე, მან იცის, რომ ის იყო მომთაბარე, არ გააჩნდა საკუთარი მიწა, კულტურა, ტრადიცია, მაგრამ შეიძინა, წაართვა, მითვისა. ეს იცის და დღემდე კომპლექსი აქვს, მეჯღანუაშვილის კომპლექსი, რომელსაც მუდმივად ფარავს მსოფლიოს წინაშე, იმ მსოფლიოსი, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, სულაც არ ანაღვლებს ეს ამბავი, რადგან ბევრი მათგანის ისტორიაც ისეა შექმნილი, როგორც თურქეთისა.

გაგიკვირდებათ, მაგრამ თურქს კომპლექსი აწუხებს მეზობელ ი, გაჭირვებული საქართველოს წინაშეც, რომლის ინდუსტრიითაც აიდგა ფეხი გასული საუკუნის 80–90-იან წლებში. დღეს კი ქართული ეკონომიკა თურქულ ეკონომიკასთან არის მიბმული და მისი ერთგვარი გაგრძელებაა...

თურქები აღიარებენ, რომ საქართველო დიდებული კულტურის ქვეყანა იყო და არის. ნებისმიერმა მათგანმა იცის, რომ არსებობდა შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, მოსწონთ და ეთაყვანებიან ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, ქართულ თვითმყოფად სამზარეულოს.

თუ ყური მოჰკრეს, რომ „გურჯისტანიდან“ ხარ, აღფრთოვანებული თვალებით გიყურებენ, ცერს მაღლა სწევენ და დიდი პატივისცემით გეპყრობიან მანამ, სანამ იმსახურებ ამას და უკადრებელს არ იკადრებ...

თურქეთი დღეს 80-მილიონიანი უმდიდრესი სახელმწიფოა. მიუხედავად ამისა, მას სურს 3-მილიონიანი საქართველოს მსგავსი კულტურა ჰქონდეს და მეტიც, თავისას ქართულ კულტურასთან აიგივებს.

ჩვენ ერთი კულტურის ხალხი ვართ, ამბობს თურქი და დასძენს: ერთნაირი ცხოვრების წესი გვაქვს, თითქმის ერთი ხალხი ვართ, ამბობს და კმაყოფილია ამით.

მე, რა თქმა უნდა, არ ვეწინააღმდეგები. თქვას, რაც უნდა, სინამდვილეში რომ ასე არაა, ეს გულში თვითონაც მშვენივრად იცის, მაგრამ მუდმივ კომპლექსს, აღზევებული მდაბიოს კომპლექსს ვერ იშორებს და თუმცა მდიდარია, მაინც უნდა გაჭირვებულ, მაგრამ კულტურულ, ღრმა ისტორიის მქონე ერს გაუტოლდეს, დაემსგავსოს, მეტიც, საკუთარი თავი გააიგივოს მასთან.

სურს დაივიწყოს, რომ ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში მომთაბარე იყო და მიჩვენებს მისი თურქი რძლის ფოტოს, რომელიც ქერაა და ცისფერთვალება...

თურქების უმრავლესობა მუქკანიანია, მომწვანო, მოყვითალო ფერი გადაჰკრავთ და უპროპორციო სხეულის ნაწილები აქვთ, თუმცა ლამაზ თურქსაც შეხვდები, რომლებიც, სინამდვილეში, ალბათ, თურქები არც არიან.

●

ულამაზესია მარმარილოს ზღვა.

თოლიები გაჰკივიან, ლამის მხარზე დაგასხდნენ.

ზღვის ნაპირზე ჰაერი თევზის სუნით არის გაჟღენთილი.

ზღვისპირას მუდმივად დგომით გამომშრალი, გამხმარ ტარანასავით თურქი შავი ულვაშების ქვემოდან გამოჩრილ თეთრ კბილებს აჩენს და პირდაპირ მეუბნება, რომ ქართველი ვარ.

— გურჯი. შენ ქართველი იქნები, — ამბობს, თავს უცნაურად აკანტურებს.

— გურჯი ქალები ყველაზე ლამაზები ხართ. — დარწმუნებით ლაპარაკობს.

— რუსები? რუსები არ არიან ლამაზები? — ვეკითხები, რადგან მგონია, რომ სითეთრის გამო მიაჩნია ქართველები ლამაზებად.

— რუსები კარგები არიან, მაგრამ ქართველი ქალი ჯობია. ქართველი ქალი უფრო ალერსიანია. მე ვიცნობ ნინოს, თეას, მაიას, შენ რა გქვია.

— ირანდა.

— ირანდა, — იმეორებს რამდენიმეჯერ, თან თავს აქეთ-იქით იქნევს.

ცივა. სუსხია ზღვის ნაპირას. ბალაგანზე თითქმის წყალში დგანან მოვაჭრეები და ახალდაჭერილ თევზს ჰყიდიან.

თევზის რეწვა თურქეთის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია.

თურქეთის უბრალო მოქალაქეს შეუძლია საკუთარი წვრილი ბიზნესი აწარმოოს — დაიჭიროს თევზი საკუთარი ქვეყნის ზღვაში და გაყიდოს ან ცოცხლად, ან იქვე შეუწვას მსურველს...

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გამოცხადებულ აუქციონზე 2005 წელს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თევზჭერის უფლება რამდენიმე ფირმამ მიიღო.

ლიცენზიანტმა ქართველმა ბიზნესმენებმა თევზჭერის უფლება იჯარით თურქ მეთევზეებს გადასცეს.

უბრალო ქართველი მეთევზეები კი ხელისუფლებისგან კრედიტებით დახმარებას ითხოვენ, რათა თურქებს, რომლებიც საქართველოში მას შემდეგ შემოდიან, რაც თურქულ წყლებში თევზჭერა სეზონურად შეწყდება, უთხრან: ჩვენ თვითონ დავიჭერთ თევზს და მოგართმევთ ხოფაში...

16 გვ.

← 15 გვ.

დიდი თურქეთი და დიდ თურქეთზე დიდი პატარა საქართველო

●

წვრილი ბიზნესი აქვს მუსტაფას. იგი 22–25 წლის იქნება. მუსტაფა სტამბულის ერთი ცენტრალური ქუჩის კუთხეში წაბლს წვავს და ჩაის და ნამცხვრებს სთავაზობს მსურველებს. იქვე უდგას წვენების საწური აპარატი, რომელიც ფორთოხალს ჯერ რეცხავს, მერე ჭრის, წურავს და ნატურალურ წვენს ჰყიდის. ქუჩაში სამი მაგიდა უდგას და ამ მაგიდებს ხშირ-ხშირად წმენდს გულდასმით... ვინ იცის, შეიძლება ხვალ მუსტაფა მსხვილი ბიზნესმენი გახდეს, კაფეების ან რესტორნების მფლობელი. მას სახელმწიფოც ეხმარება ამაში.

●

თურქეთის რომელ კუნჭულშიც უნდა იყო, დღეში ხუთჯერ მუეძინი შეახსენებს თურქ ერს, რომ „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა". მაშინ ყველა ანებებს თავს საქმეს და იჩოქებს უხილავი და უსახო ალლაჰის წინაშე.

თურქეთის ტერიტორიაზე ვერსად ვერ ნახავ დანგრეულ ან მოუვლელ მეჩეთს. იდეალური წესრიგი და სისუფთავეა მეჩეთების ეზოში და თვით მეჩეთშიც.

მეჩეთში შესვლა თუ გინდა, ფეხსაცმელი კიბეებთან უნდა დატოვო, მტვერი ტაძარში არ უნდა შეიტანო. არამუსულმანიც ვერ შევა მეჩეთში ფეხსაცმლით. ფეხმორთხმული მლოცველები, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა ნირვანაში არიან, იმას მაინც ხედავენ, ქალი უთავსაფროდ რომ დგახარ და მიგანიშნებენ, რომ მათ სალოცავს პატივი უნდა სცე, თავსაბურავი უნდა დაიხურო. უცებ მახსენდება სიონში შორტებიანი, ნახევრადგახდილი, ზურგჩანთებიანი უცხოელი ტურისტები, მაგრამ შთაბეჭდილებისგან ეს მაშინვე მავიწყდება, რადგან ჩემს წინ თავად სულთან სულეიმანის სარკოფაგია. გვერდით ჰიურემ სულთანის და მათი შვილებისა და შვილიშვილების საძვალეები. სარკოფაგები მეჩეთის გვერდით აშენებულ სპეციალურ აკლდამაშია განთავსებული. სარკოფაგებს კუბოს ფორმა აქვს. უზარმაზარი კუბო სულთნისაა, შედარებით მორჩილი მეუღლის, უფრო მომცრო შვილების და სულ პატარა სულთნის გარდაცვლილი მცირეწლოვანი შთამომავლის. სარკოფაგის თავი დასავლეთისკენაა მიმართული და მათ სიცოცხლეში რომ ეხურათ, ის ჩალმა ადევს სარკოფაგის წვერს, დასავლეთის მხარეს.

თავიანთი დიდებული სულთნები თურქებს წმინდანებად მიაჩნიათ და მათ საძველეებთან ლოცულობენ კიდეც.

თურქებს არ უყვართ რუსები.

თუმცა რუსი ტურისტებით სავსეა თურქეთი, თურქმა რომც იცოდეს, ერთ სიტყვას არ იტყვის რუსულად. სამაგიეროდ, ამერიკელები მოსწონთ.

ამერიკამ ისინი აღიარა.

ამერიკამ თურქეთი დააფასა.

ამერიკას კარგად ესმის თურქეთის!..

— ბათუმი და მთელი აჭარა თურქული ტერიტორიაა, — მეუბნება ჩემი მასპინძელი, რომელსაც, მგონი, მიაჩნია, რომ მე, შეიძლება, სინამდვილე არ ვიცოდე და ამ აბსურდში, ცდილობს, დამარწმუნოს.

მეღიმება და ვეუბნები, რომ სხვა თემაზე ვილაპარაკოთ, ვიდრე ყველაფერს გავიხსენებთ.

თურქი უხერხულად იშმუშნება და კიდევ ერთხელ ვგრძნობ, როგორ სურს მას, კომპლექსები ჩამოიბერტყოს... როგორ უჭირს დიდ ქართულ კულტურასთან შეხვედრა, როგორ უნდა, რომ მის წიაღში იყოს, როგორ უნდა, რომ იყოს ის, რაც არ არის...

ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსები არ ვიცი, დიპლომატიის ეთიკისთვის, არ ვიცი, უცოდინრობით, ამბობენ, რომ თურქეთი ჩვენი მეგობარია და ის არასდროს ყოფილა ჩვენი ისტორიული მტერი.

ალბათ, სამწუხარო რეალობაა, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, თურქეთი ვერასდროს გახდება ჩვენი მეგობარი ვერც მენტალობით, ვერც კულტურით, ვერც ტრადიციით, ვერც წარსულით და ისტორიით, რადგან თურქი ერი დღეს არის იმ მომთაბარე თურქი სელჩუკების შთამომავალი. ჩვენს წინაპრებს რომ ჟლეტდა, ჩვენს ტაძრებს რომ ანგრევდა და ხელნაწერებს რომ წვავდა. გენეტიკა, გენეტიკის მეხსიერება, წარსული კი, რაც უნდა დაანგრიო და წაშალო, ის არსებობდა ესაა ფაქტი და ამ რეალობას თუ გაექცევი, ნამდვილი პოლიტიკოსი კი არა, ქოსატყუილა მეზღაპრე ხარ, რომელიც ვერც ქვეყანას მოუტანს სიკეთეს და ვერც საკუთარ თავს...

შეუძლებელია დღეს პატივი არ სცე თურქ ხალხს და თურქეთის სახელმწიფოს, რომლებმაც შექმნეს და გააძლიერეს ევრაზიის ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი ქვეყანა თავიანთი შრომითა და თავდადებით.

როგორც კი ფეხს დაადგამ თურქეთის ტერიტორიაზე, მიიხედ-მოიხედავ, ხედავ მოფუსფუსე ხალხს, ინტერესით და საქმით გართულს, ქალაქები დუღს, სადღაც ქარხნის თუ ფაბრიკის კვამლი ამოდის, ყველა პატივს სცემს ეროვნულ დროშას, ერდოღანს, შენობებზე აქა-იქ დაინახავ პლაკატს, რომელზეც გამოსახულია ცხენზე მჯდომარე შავფაფახიანი კაცი. ეს ყველა დროის თურქთა ბელადი მუსტაფა ქამალ ათათურქია...

პატივსაცემი ხალხია თურქები. ანგარიშგასაწევი.

— მე შემიძლია მოვკვდე საქართველოსთვის, — ვამბობ.

ჩემს მასპინძელს აღმოსავლური ცბიერებით ეღიმება, თან ბაქლავას მთავაზობს.

რა შუაში იყო ახლა ჩემი „გამოსვლა"?

ვგრძნობ, ცოტა უკმაყოფილოა.

ამჯერად, თურქეთში ფულის საშოვნელად ჩამოსულ გურჯის ქალს ვერ შეხვდა. ცოტა დაბნეულია და სადღაც გონების სიღრმეში სიტყვას ეძებს, რა მიპასუხოს.

— მე მიყვარს ჩემი მიწა, — ამბობს.

მან იცის, რომ თუ საჭირო იქნა, იბრძოლებს ამ მიწისთვის...

უკან ვბრუნდები.

ათათურქის აეროპორტში არაბები, ყაზახები, ზანგები, თურქები, თურქები და თურქები, ერთმანეთში ირევიან.

იქვე ქალები სხედან. მოტკეცილი ელასტიკის შარვლებით და ჯინსებით. ხშირ-ხშირად ისწორებენ ვარცხნილობას, ნერვიულად იცვლიან ჯდომის პოზას. ლაპარაკობენ მიმიკებით და ხელებს გამომწვევად შლიან.

ნამდვილად თბილისელები იქნებიან, — ვფიქრობ. ვდგები და შორიახლოს ჩავუვლი.

ეჰ, ქართულად ლაპარაკობენ...

რამდენიმე საათში „პეგასუსს" თბილისისკენ მოვყავართ.

ქართული ავიახაზები მთლიანად თურქულ ავიახაზებზეა დამოკიდებული.

თბილისის აეროპორტები თურქული ავიაკომპანიის კურირების ქვეშაა.

ორსაათიანი ფრენის შედეგ თურქი გოგონა მომხიბლველი ხმით აცხადებს, რომ უკვე თბილისის აეროპორტში ვართ.

ღამის 3 საათია.

ირგვლივ სიწყნარეა...

მოწყენილობა...

სიცივე...

თითქოსდა მიუსაფრობაც...

უპატრონობა...

სიღარიბე...

უკვე ჩემს მიწაზე ვარ.

თბილია ქართული მიწა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com